საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

პარასკევი, 21 იანვარი. 2022 წ. №12 (9350) ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge ფასი 1 ლარი

დიქტატორი კომიკოსად ჩამოტაკიმასხარავდა!

...მიხასთვის ცალკე გაზეთი „პრავდა“ დაბეჭდონ, დაწერონ, რომ რიგგარეშე არჩევნები ჩატარდა, ხალხი მის მხარესაა და ისევ პრეზიდენტის სასახლეში იმყოფება...

6

„სვანური მაფიის“ აკრძალვა გამოსავალი ვერ იქნება!

მაინინგი სახელმწიფომ მკაცრად უნდა გააკონტროლოს

იხ. 4 გვ.

ნამოხვანი „ჰაერში გამოეკიდა“!..

„ენკამ“ საქართველო საბოლოოდ დატოვა, ვინ ააშენებს გიგანტურ ჰესს?



5

ედვარდ ლუკასი:

პუტინს უნდა შევხედოთ, როგორც ტონი სოპრანოს

წამლების გაიაფება უნდა დაიწყოს...

3

გადამწყვეტი ნაბიჯი გადადგმულია!

უკრაინის ნატოში შესვლას ბაიდენი ეწინააღმდეგება

8

ზელენსკი უკრაინელებს მოუწოდებს, პანიკაში არ ჩავარდნენ...

სამი ძირითადი ნაბიჯი

აშშ-ის სახელმწიფო მდივანი აზუსტებს, რა იქნება უკრაინაში რუსეთის შეჭრის ფასი...

8

ჯუნას ფენომენი: მოსკოვური ეპოპეა

9

ირაკლი ღარიბაშვილი თურქეთის ელჩს საქართველოში, ფატმა ჯერენ იაზგანს ესაუბრა

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი თურქეთის რესპუბლიკის ელჩს საქართველოში, ფატმა ჯერენ იაზგანს შეხვდა. საუბარი შეეხო ორი ქვეყნის სტრატეგიულ პარტნიორობასა და პოზიტიურ დინამიკას ორმხრივ ურთიერთობებში. მხარეებს შორის ერთ-ერთი ძირითადი განსახილველი საკითხი იყო თურქეთის ბაზრის გახსნა და მაღალი ხარისხის GMP სტანდარტების შესაბამისი წამლების შემოტანა, რაც მნიშვნელოვნად, სწრაფად გააიაფებს მედიკამენტების ფასებს საქართველოში.

ხაზი გაესვა, რომ არსებული რეგიონული პროექტები საქართველოსა და თურქეთს შორის ეფექტური სტრატეგიული თანამშრომლობის, მდგრადი განვითარებისა და საიმედო პარტნიორობის ნათელი მაგალითია, რაც თავის მხრივ ქვეყნებისთვის მეტი ეკონომიკური დამოუკიდებლობის, უსაფრთხოებისა და მდგრადობის მომტანია. პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, რომ მეზობელ ქვეყნებთან ეფექტური რეგიონული თანამშრომლობა უსაფრთხოების, სტაბილურობისა და მდგრადი განვითარების გზაა. გამოითქვა მზაობა, თანამშრომლობის კიდევ უფრო მეტად გაღრმავებაზე, მათ შორის პოლიტიკური და ეკონომიკური მიმართულებებით.

შეხვედრისას ყურადღება დაეთმო უმაღლესი დონის სტრატეგიული თანამშრომლობის საბჭოს მომავალ სხდომას. აგრეთვე, საუბარი შეეხო სამომავლო ნაბიჯებს, რომელიც საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკას შორის თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების განხორციელების გზაზე უნდა გადაიდგას.



აღინიშნა, რომ გლობალური პანდემიის გამოწვევების დაძლევის კუთხით უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ერთობლივ ძალისხმევას და გამოითქვა იმედი, რომ პანდემიის წინააღმდეგ საქართველოსა და თურქეთის მჭიდრო თანამშრომლობა კვლავ დღის წესრიგში დარჩება. ირაკლი ღარიბაშვილმა თურქეთის მხარეს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის მტკიცე მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა. მთავრობის მეთაურმა ხაზი გაუსვა ელჩის მნიშვნელოვან წვლილს ქვეყნებს შორის ორმხრივი ურთიერთობების განვითარებაში.

კელი დეგნანი შალვა პაპუაშვილსა და ირაკლი კობახიძეს შეხვდა

საქართველოში აშშ-ის ელჩის, კელი დეგნანის განცხადებით, შალვა პაპუაშვილთან და ირაკლი კობახიძესთან შეხვედრაზე განხილვის ერთ-ერთი თემა რეგიონში შექმნილი ვითარება იყო.

— მქონდა კარგი შესაძლებლობა, შევხვედროდი პარლამენტის ახალ თავმჯდომარეს, ბატონ შალვა პაპუაშვილს და გვესაუბრა მის პრიორიტეტებზე და ხედვებზე, სამომავლო საკანონმდებლო საქმიანობის კუთხით. ასევე, მქონდა კარგი შესაძლებლობა შევხვედროდი მმართველი პარტიის თავმჯდომარეს და ასევე განგვეხილა პრიორიტეტული საკითხები. როგორც გვითხრეს შეხვედრაზე, დღის წესრიგის პრიორიტეტული საკითხები მომდევნო საკანონმდებლო სესიებზე იქნება სასამართლო რეფორმა, საქართველოს კანონმდებლობის ჰარმონიზაცია ევროკავშირის კანონმდებლობასთან ასოცირების შეთანხმების კონტექსტში. ასევე, იქნება მუშაობა დემოკრატიის გაძლიერების ისეთ მიმართულებებზე, რომლის შესრულების პირობა საქართველომ ბაიდენის დემოკრატიის სამიტზე დადო. საკანონმდებლო საქმიანობის კუთხით საკმაოდ დატვირთული დღის წესრიგი იქნება. ასევე, განვიხილეთ უკრაინის საკითხი, დაძაბულობა და უსაფრთხოების კუთხით რუსეთის მიერ რეგიონში შექმნილი ვითარება, რუსეთის აგრესიული ქმედებები, რომ ევროპის უსაფრთხოების დესტაბილიზაცია მოახდინოს და ასევე ვისაუბრეთ ძალის გამოყენების საფრთხეზე. ცხადია, ეს არის ძალიან გადამწყვეტი და მნიშვნელოვანი მომენტი საქართველოსთვის, მთლიანად რეგიონისთვის და ყველა ჩვენგანისთვის იმ კუთხით, რომ დავიცვათ ის ფუნდამენტური საერთაშორისო პრინციპები, რაზეც უკვე 30 წელზე მეტია მშვიდობიანად დგას ევროპის უსაფრთხოება“, — განაცხადა დეგნანმა.

კახა კუჭავას გია ცაგარეიშვილი ჩაანაცვლებს

კახა კუჭავამ სადეპუტატო უფლებამოსილების შეწყვეტის მიზნით, პარლამენტს უკვე მიმართა. როგორც საქართველოს პირველ არხს საპროცედურო საკითხთა კომიტეტში განუცხადეს, პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარის მიმართვა კომიტეტს წარედგინა და მისი განხილვა საგაზაფხულო სესიის გახსნამდე იგეგმება.

კახა კუჭავასთვის სადეპუტატო უფლებამოსილების შეწყვეტა საგაზაფხულო სესიის პირველივე პლენარულ სხდომაზე მოხდება. კახა კუჭავამ პარლამენტის თავმჯდომარის თანამდებობა დეკემბერში დატოვა. მან უარი თქვა სადეპუტატო მანდატზეც. კახა კუჭავას პარლამენტში „ქართული ოცნების“ საარჩევნო სიის შემდეგი ნომერი — გია ცაგარეიშვილი ჩაანაცვლებს.

ყოველდღე მშვენდება დედაქალაქი

კიდევ ერთი განახლებული და გალამაზებული გამზირი

ისნის რაიონში ქეთევან დედოფლის გამზირის სრული რეაბილიტაცია დაიწყო, — ამის შესახებ დედაქალაქის მერმა კახა კალაძემ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სხდომაზე ისაუბრა.

„ვიწყებთ ქეთევან დედოფლის გამზირის სრულ რეაბილიტაციას. ინფრასტრუქტურული პროექტი მეტროსადგურ „ავლაბრის“ მიმდებარე ტერიტორიიდან ლეხ კაჩინსკის ახლად რეაბილიტირებულ ქუჩამდე, ორ კილომეტრამდე საგზაო მონაკვეთს მოიცავს. სამუშაოები რამდენიმე ეტაპად დაიყოფა. პირველი ეტაპი ეს არის მიწისქვეშა კომუნიკაციების მოეწყობა-მოწესრიგება. წყალარინებისა და წყლის მილები განახლდება, სანიაღვრე სისტემა მოწყობა მიწის ქვეშ. განთავსდებაელექტროგადამცემი ხაზები. გამზირზე განათების ახალი სისტემა და საავტობუსე ზოლები მოეწყობა. ასევე, დამონტაჟდება მიწისქვეშა ურნები“, — აღნიშნა კახა კალაძემ. მისივე თქმით, სარეაბილიტაციო სამუშაოების დროს საავტომობილო მოძრაობა ნაწილობრივ შეიზღუდება. ამ ეტაპზე, მეტროსადგურ „ავლაბრიდან“ თელავის ქუჩის კვეთამდე არსებული საგზაო მონაკვეთი გადაიკეტება. ამასთან, დედაქალაქის მერმა მოსახლეობას შექმნილი დისკომფორტის გამო ბოდიში მოუხადა და აღნიშნა, რომ გარკვეული შეზღუდვების გარეშე გამზირის სრული რეაბილიტაცია ვერ განხორციელდება.

მეტროსადგურ „ვარკეთილის“ რეაბილიტაციისთვის ტენდერი გამოცხადდა

კახა კალაძის თქმით, ექსპერტიზა გაიარა პროექტმა, რაც მომავალში ნებისმიერი სახის ინციდენტს გამორიცხავს.

„2018 წელს ჩამოიშალა ახლად რეაბილიტირებული მეტროსადგურის ჭერი. მართალია, მისი მუშაობა გაგრძელდა, მაგრამ პარალელურად, საკითხის საფუძვლიანი შესწავლა დავიწყეთ და რამდენიმე კვლევა ჩავატარეთ. კერძოდ, ექსპერტიზა ჩაუტარდა არსებულ კონსტრუქციებს, რათა შეგვესწავლა მისი უსაფრთხოება და მომავალში გამოგვერიცხა მსგავსი ინციდენტი. პროექტს ჩაუტარდა შემდგომი ექსპერტიზები: ტექნიკური რეგლამენტი „შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების წესების“ შესახებ დადგენილებასთან შესაბამისობის ექსპერტიზა (41-ე დადგენილება); კონსტრუქციული ექსპერტიზა; თაღოვანი ჭერის კონსტრუქციული ექსპერტიზა; მოპის შეფასება; ელექტროობის ექსპერტიზა; ხარჯთაღრიცხვის ექსპერტიზა; საინჟინრო ნაწილის (ელექტროობა, წყალკანალიზაციია, სუსტი დენები, ვენტილაცია, გათბობის და სხვა) ექსპერტიზა“, — განაცხადა კახა კალაძემ.

„სამუშაოები ითვალისწინებს ბაქნისა და ესკალატორების გვირაბის აზბესტის ჭერის დემონტაჟს. ასევე, თანამედროვე მასალებით ჭერის, ე.წ. დამცავი ქოლგის მოწყობას, ინტერიერის სრულ განახლებას, ესკალატორების, ბალუსტრადების განახლებას. პროექტის ფარგლებში, განათებისა და შიდა სავენტილაციო სისტემა მოეწყობა, ბაქნის იატაკი შეიცვლება, ტაქტილური ფილები დაიგება, ასევე, სადგურის სამეურნეო ოთახები მოეწყობა. იმედია, მალე გამოვლინდება გამარჯვებული კომპანია და სამუშაოები დაიწყება“, — აღნიშნა კახა კალაძემ.

დაგეგმილი სამუშაოების ბიუჯეტი შვიდ მილიონ ლარს შეადგენს.

დედაქალაქს მოემსახურება მოწესრიგებული, ევროპული ტიპის მიკროავტობუსები

თბილისის მერის კახა კალაძის განცხადებით, მიკროავტობუსების ჩანაცვლებასთან დაკავშირებით გაცემული დაპირება შესრულებულია.

როგორც აღინიშნა, ამჟამად დედაქალაქში მოძრაობს 465 მიკროავტობუსი, პირველ თებერვლამდე კი მარშრუტებზე განაწილდება დანარჩენი 535 მიკროავტობუსიც.

„დედაქალაქის მერიამ კერძო კომპანიასთან ერთად მოახერხა მიკროავტობუსების ჩანაცვლება, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. ეს არის ჩვენი სატრანსპორტო რეფორმის და სატრანსპორტო პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი. თქვენ იცით, რომ დავიწყეთ ავტობუსების განახლება. მთლიანად ავტოპარკი ჩანაცვლებულია და დღეს უკვე ასევე მთლიანად განახლებულია მიკროავტობუსებიც. დედაქალაქს მოემსახურება ახალი, მოწესრიგებული, ევროპული ტიპის მიკროავტობუსები, რომლის საშუალებით გადაადგილება კომფორტული იქნება. ჩვენი სატრანსპორტო რეფორმის ფარგლებში შევიძინეთ 1 000 ერთეული მიკროავტობუსი, რომელიც უკვე დღეიდან ეტაპობრივად მთლიანად გაეშვება ქსელში და პირველი თებერვლიდან არც ერთი ყვითელი ავტობუსი არ იმოძრავებს დედაქალაქში“, — განაცხადა კახა კალაძემ. მისი განმარტებით, ასევე, მნიშვნელოვანია ინტეგრირებული ტარიფის კომპონენტი.

„პირველი თებერვლიდან შესაძლებელია ინტეგრირებული ტარიფებით მგზავრობა. ეს იმას ნიშნავს, რომ მას შეუძლია ყველა ტიპის საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობა — მეტროთი, ავტობუსით და მიკროავტობუსით. მნიშვნელოვანია, რომ საბონემენტო სისტემა, რომელიც ასევე პირველი თებერვლიდან შედის ძალაში, არის ულიმიტო და მგზავრს აძლევს საშუალებას, ბევრჯერ გადააადგილდეს ერთხელ გადახდის შემდეგ“, — აღნიშნა კახა კალაძემ.

კახა კალაძე ამბობს, რომ მიკროავტობუსების ჩანაცვლების პარალელურად, 20 იანვრიდან პირველ თებერვლამდე, დედაქალაქში ეტაპობრივად ამოქმედდება მიკროავტობუსების 76 სამარშრუტო ხაზი, რომელთაგან 53 ჩაანაცვლებს არსებულ მარშრუტებს, ხოლო 23 ახალი მარშრუტი დაემატება დედაქალაქის სატრანსპორტო სისტემას.

ირაკლი კობახიძე: სიჩქარეზე საუბარი ზედმეტია!

ჩვენ 2 წელი მოვანდომეთ 20 მოსამართლის არჩევას, ეს არის ფაქტი და აქ სიჩქარეზე საუბარი ზედმეტია, — ამის შესახებ „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე ირაკლი კობახიძემ განაცხადა.

როგორც ირაკლი კობახიძემ აღნიშნა, ეს იყო საკმაოდ რთული პროცესი.

„მანამდე გახსოვთ, მარტივად, პრეზიდენტი წარადგენდა და პარლამენტი ამტკიცებდა, არავის გაუკრიტიკებია ეს პროცესი. მარგველაშვილმა ერთ დღეში წარადგინა და პარლამენტმა მერე განიხილა. ჩვენ მოგვთხოვეს ამ საკითხების დახვეწა, უფრო რთულად მოწესრიგება, მოვაწესრიგეთ უპრეცედენტო რეგულაციების საფუძველზე, ევროკავშირის წევრ ქვეყნებშიც არ არის ასეთი გამჭვირვალე და რთული პროცედურები დადგენილი, რაც არის ჩვენთან. ამ პროცედურების საფუძველზე 2 წელი მოვანდომეთ, 20 მოსამართლის არჩევას, აბსოლუტურად დახვეწილი პროცედურების საფუძველზე. შესაბამისად, ამასთან დაკავშირებით გვაქვს ჩვენი ძალიან გამართული და ლოგიკური პასუხები, რომელიც ეფუძნება არა აღქმებს, არამედ ფაქტებს“...

დავით ზალკალიანი ლიეტუვას პრეზიდენტს შეხვდა

საქართველოს ვიცე-პრემიერი, საგარეო საქმეთა მინისტრი **დავით ზალკალიანი ლიეტუვაში ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში, ლიეტუვას პრეზიდენტს, გიტანას ნაუსედას შეხვდა. იუწყება საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო.**

უწყების ინფორმაციით, პრეზიდენტთან შეხვედრაზე ხაზი გაესვა ლიეტუვას მტკიცე მხარდაჭერას საქართველოს სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობის და ქვეყნის ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის პროცესის მიმართ. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო არსებულ უსაფრთხოების გარემოს და რუსეთთან მიმდინარე დიალოგს, რა დროსაც კიდევ ერთხელ აღინიშნა პარტნიორი ქვეყნების მტკიცე პოზიცია საქართველოსა და უკრაინის მისწრაფებების მხარდასაჭერად და ასევე ხაზი გაესვა ნატოსთან, აშშ-სთან და მეგობარ სახელმწიფოებთან მიმდინარე მაღალი დონის კოორდინაციის მნიშვნელობას. პრეზიდენტთან შეხვედრაზე საუბარი შეეხო საქართველოს ევროპული ინტეგრაციის დღის წესრიგს, კიდევ ერთხელ დადებითად იქნა შეფასებული აღმოსავლეთ პარტნიორობის სამიტი და მისი შედეგები, რაც მხარეთა შეფასებით, ხელშესახებ შედეგს მოუტანს ქართველ საზოგადოებას.

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარედ პარტია „საქართველოსთვის“ წევრი აირჩიეს

ის ერთადერთი კანდიდატი იყო ამ პოსტზე. კორნელი სალიას 14-მა დეპუტატმა მისცა ხმა. თავმჯდომარის არჩევნებში ფრაქცია „ქართული ოცნების“ წევრებს მონაწილეობა არ მიუღიათ. არჩევის შემდეგ კი მათ სხდომა პროტესტის ნიშნად დატოვეს.

დღევანდელ სხდომას საკრებულოს 27 წევრიდან 24 ესწრებოდა. თავმჯდომარის არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 15-მა დეპუტატმა, მათგან 14-მა გახარიას პარტიის კანდიდატს დაუჭირა მხარი.

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოში „ნაციონალურ მოძრაობას“ 11 მანდატი აქვს, ასევე 11 მანდატი აქვს „ქართულ ოცნებას“, პარტია „საქართველოსთვის“ ჰყავს სამი წევრი, ერთი „ლელოს“ და ერთი დამოუკიდებელი წევრია, რომელმაც არჩევნების შემდეგ გახარიას პარტია დატოვა.

* * *

„ჩვენ აქამდეც არაერთხელ გვითქვამს, რომ ნაციონალურ მოძრაობას და გახარიას პარტიას ერთმანეთთან დეფაქტო კოალიცია ჰქონდათ გაფორმებული. დღევანდელი გადაწყვეტილებით კიდევ ერთხელ გამყარდა ის, რასაც თვეების განმავლობაში ვამბობდით — გახარიას პარტია და „ნაციონალური მოძრაობა“ შეთანხმებულად მოქმედებდნენ ხელისუფლების წინააღმდეგ, ჩვენ აქამდეც ნათლად ვხედავდით, თუ როგორ უწყობდა ხელს გახარია ჯერ პრემიერ-მინისტრის თანამდებობიდან გადადგომით, შემდეგ კი მისი პარტიის ქმედებებით „ნაციონალურ მოძრაობას“ და მათ დესტრუქციულ დღის წესრიგს, თუმცა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ, საკრებულოებში განვითარებულმა მოვლენებმა და მათმა კოორდინირებულმა მოქმედებამ საბოლოოდ გამოააშკარავა და გააფორმა ისინი ერთ პოლიტიკურ წარმონაქმნად. — ამის შესახებ „ქართული ოცნების“ პოლიტსაბჭოს წევრმა, **სოზარ სუბარმა** ბრიფინგზე განაცხადა.

გადამწყვეტი ნაბიჯი გადადგმულია!

წამლების გაიაფება, მალე უნდა დაიწყოს...

17 იანვრიდან საქართველოში თურქეთის ფარმაცევტული მარეგულირებლის მიერ აღიარებული ფარმაცევტული პროდუქციის ავტომატური აღიარება მოხდება. შესაბამისი დადგენილება მთავრობამ უკვე აამოქმედა. თურქეთის „ბაზრის გახსნა“ სწორედ ამ ცვლილების გატარებას გულისხმობდა.

საქართველოს პრემიერ-მინისტრის, **ირაკლი ღარიბაშვილის** განცხადებით, 17 იანვარს „გაიხსნა“ თურქეთის ბაზარი, საიდანაც საქართველოში მაღალი ხარისხის, თუმცა დაბალი ფასის მქონე მედიკამენტები უნდა შემოვიდეს. პრემიერის ინფორმაციით, შესაბამის განკარგულებას უკვე მოეწერა ხელი. ამასთანავე, როგორც ირაკლი ღარიბაშვილმა მთავრობის სხდომაზე განაცხადა, ეს გადაწყვეტილება ძალიან სწრაფად გააიაფებს მედიკამენტებს საქართველოში.

ხელისუფლება ამბობს, რომ აღნიშნული გადაწყვეტილება, პირველ ეტაპზე, 200-მდე დასახელების მედიკამენტზე შეამცირებს ფასს, შემდეგ კი ნუსხა გაფართოვდება. თურქეთის ბაზრის „გახსნა“ კონკურენციის სააგენტოს მიერ ფარმაცევტული ბაზრის შესწავლისას გამოკვეთილი ერთ-ერთი რეკომენდაციაა.

ჯანდაცვის ახალი მინისტრი აღნიშნავს, რომ ამიერიდან თურქეთიდან ნებისმიერი მედიკამენტის იმპორტი ხდება შესაძლებელი. **ზურაბ აზარაშვილი** ადასტურებს, რომ წამლებზე ფასნამატი ხანდახან 1000%-საც აღწევს.

„რამდენიმე თვის წინ, პრემიერის დავალებით, კონკურენციის სააგენტოს დაევალა ბაზრის მოკვლევა, ყველა იმ ნიუანსის გავლა, რაც შეიძლებოდა მედიკამენტების ფასების შემცირების მიმართულებით გაგვერკვია. პირველი ეტაპი, რაც ამ კვლევის გაცნობის შემდეგ სასწრაფოდ გასაკეთებლად ჩაითვალა, გახლავთ თურქეთის ბაზრის გახსნა. დაახლოებით 200 მედიკამენტია სხვადასხვა მიდგომით შესწავლილი, რომლებიც, მაგალითად, თურქეთში ღირს 5 ლარი და ჩვენთან — 10-ჯერ მეტი. ზოგიერთ მედიკამენტზე მარჟები ადის 1000%-მდე. ყველამ ვიცით, რომ ჩვენი თანამოქალაქეების ნაწილს ჩანთებით გადმოაქვს მედიკამენტები, ზოგიერთი სხვებს აბარებს თურქეთში, სწორედ ფასების გამო.

პრემიერის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება, წამლების აღიარების სიაში თურქეთის შეტანასთან დაკავშირებით, საქართველოში თურქეთიდან მაღალხარისხიანი, კონკურენტული ფასებით მედიკამენტების შემოტანას შეუწყობს ხელს, რაც ჩვენს მოსახლეობას 200-მდე მედიკამენტზე ხარჯს გაუიაფებს. ჯანდაცვის სამინისტრო აქტიურად არის ჩართული ამ და სხვა იმპორტიორი ქვეყნებიდან წამლების ხარისხისა და მასთან დაკავშირებული სერტიფიკატების თუ დოკუმენტაციის გადამოწმებისა და კონტროლის კუთხით. ჩვენ სრულად პასუხისმგებელნი ვართ, რომ საქართველოში გაიყიდება მაღალი ხარისხის მედიკამენტები კონკურენტული ფასებით“, — თქვა მინისტრმა.

კონკურენციის სააგენტოს ხელმძღვანელის **ირაკლი ლექვინაძის** თქმით, თუ როგორ უნდა ხდებოდეს თურქეთიდან შემოტანილი მედიკამენტების ხარისხის კონტროლი, ამის აღსრულების მექანიზმი ჯანდაცვის სამინისტროს აქვს. სააგენტომ მთავრობაში, პარლამენტსა და სხვა უწყებებში წარადგინა რეკომენდაციები, თუ როგორ უნდა გაუმჯობესდეს მედიკამენტებზე ხარისხის კონტროლი. ამ მიზნით მათი ერთ-ერთი რეკომენდაციაა ქვეყანაში ელექტრონული და ჯენერიკული რეცეპტის დანერგვა.

„ჩვენი რეკომენდაციების მიხედვით, ქვეყანაში უნდა არსებობდეს ელექტრონული და ჯენერიკული რეცეპტი, რითაც ერთი და იმავე დანიშნულებისა და ფასებით განსხვავებულ მედიკამენტებს შორის არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა იქნება. ჩვენი ერთ-ერთი რეკომენდაციაა ასევე, მედიკამენტის ხარისხის სტანდარტის შემოღება როგორც იმპორტის, ასევე ადგილობრივი წარმოების დონეზე. ამის შესაბამისი ინსტრუქციები და აღსრულების მექანიზმები არსებობს და ეს მნიშვნელოვანი წინაპირობაა, რათა საქართველოს ბაზარზე იყოს მხოლოდ ხარისხიანი მედიკამენტი და იაფფასიანი მედიკამენტი უხარისხო მედიკამენტს არ ნიშნავდეს“, — განაცხადა ლექვინაძემ.

ფარმაცევტული კომპანიების ასოციაციის თავმჯდომარე **ირაკლი მარგველაშვილი** კი „ბიზნეს-რეზონანსთან“ ამბობს, რომ კონკურენციის სააგენტომ დასკვნა ასოციაციასთან მჭიდრო კოორდინაციით მოამზადა და მიზნად ისახავს ბაზარზე არსებული რისკების შემცირებას.

„არსებობს რესურსი, წამლის ფასმა მყისიერად დაიკლოს. რამდენიმე ასპექტი უნდა გამოიყოს. ჩვენ ვამბობთ, რომ არის ფასნამატები. ამის შესაცვლელად შეიძლება გაკეთდეს ფასდერეგულაცია საბითუმო და საცალო ბაზარს შორის. ჩვენი მიზანი ის კი არ არის, კონკრეტული მედიკამენტის ფასმა დაიწიოს, ჩვენ ნაკლები მედიკამენტი უნდა დაგვჭირდეს.

ხშირად ინიშნება არა მხოლოდ უფრო ძვირი მედიკამენტი, არამედ წამალი, რომელიც საერთოდ არ სჭირდება ადამიანს. ყველაზე სწრაფი მეთოდია, ფასნამატებზე რეგულაცია, ურთიერთობის დარეგულირება სამედიცინო პერსონალსა და ფარმაცევტულ სექტორს შორის. მერწმუნეთ, ეს არ არის რთული. ბევრად რთულია ჰოლდინგური კომპანიების დაშლა, რომლის ალტერნატივაც ახლა ბაზარზე არ გვაძვს.

კონკურენციის სააგენტოს დასკვნაშიც წერია, რომ მსხვილქსელურ კომპანიებს, რომლებიც ასეთ ჰოლდინგებში შედიან, ფასნამატი, დაახლოებით, 15-26% აქვთ, მაშინ, როცა ნაკლები ზომის კომპანიებს 200-1000% აქვთ ფასნამატი“, — განაცხადა მარგველაშვილმა.

ამდენად, თურქეთი შეემატა იმ 36 ქვეყანას, საიდანაც ფარმაცევტული პროდუქცია აღიარებითი რეჟიმით შემოვა.

მედიკამენტების აღიარების წესი მთავრობამ 2009 წელს მიიღო, სიაში ეტაპობრივად ახალი ქვეყნები ემატებოდნენ და ის ამჟამად 20-ზე მეტ ქვეყანას მოიცავს:

ევროპის წამლების სააგენტო; ამერიკის შეერთებული შტატები; ავსტრალიის თანამეგობრობა; ავსტრიის რესპუბლიკა; ახალი ზელანდია; ბელგიის სამეფო; ბულგარეთის რესპუბლიკა; გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა; დანიის სამეფო; დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფო; ესტონეთის რესპუბლიკა; ესპანეთის სამეფო; ირლანდია; იტალიის რესპუბლიკა; იაპონია; ისლანდიის რესპუბლიკა; კანადა; კვიპროსის რესპუბლიკა; კორეის რესპუბლიკა; ლუქსემბურგის დიდი საჰერცოგო; ლატვიის რესპუბლიკა; ლიტვის რესპუბლიკა; მალტის რესპუბლიკა; ნორვეგიის სამეფო; ნიდერლანდების სამეფო; პორტუგალიის რესპუბლიკა; პოლონეთის რესპუბლიკა; რუმინეთი; საფრანგეთის რესპუბლიკა; საბერძნეთის რესპუბლიკა; სლოვენიის რესპუბლიკა; სლოვაკეთის რესპუბლიკა; უნგრეთის რესპუბლიკა; ფინეთის რესპუბლიკა; შვედეთის სამეფო; შვეიცარიის კონფედერაცია; ჩეხეთის რესპუბლიკა; თურქეთის რესპუბლიკა.

ბექა დანელია

„სვანური მაფიის“ აკრძალვა გამოსავალი ვერ იქნება!

მაინინგი სახელმწიფომ მკაცრად უნდა გააკონტროლოს

როგორც ჩვენი გაზეთის მკითხველებმა იციან, მესტიაში მოსახლეობამ წმინდა გიორგის ხატზე დაიფიცა, რომ კრიპტოვალუტის მაინინგ-ფერმებს აღარ გამოიყენებენ. ადგილობრივებმა ფიცი ტაძარშიც კი დადეს. თუმცა ამის შემდეგ, სვანეთში ელექტროენერგიის მოხმარება არათუ შემცირდა, არამედ გაიზარდა. ამჟამად რეგიონს ელექტრომომარაგება უწყვეტად მიეწოდება, მაგრამ ნებისმიერ დროს შეიძლება ელექტროქსელმა დატვირთვას ვერ გაუძლოს და გაითიშოს.

ციფრული ფულის, კრიპტოვალუტების მაინინგის გამო დეკემბერში მესტიის მოსახლეობას ელექტროენერგია შეფერხებით მიეწოდებოდა. ელექტროენერგიის გამანაწილებელი კომპანიის **„ენერგო პრო ჯორჯიას“** განცხადებით, მესტიაში არსებული მაინინგი მავნებლობაა, რის გამოც ადგილობრივი მოსახლეობა ზარალდება. **მერია** კი აცხადებდა, რომ მესტიის სრული მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მოხმარებისთვის, მუნიციპალიტეტის მასშტაბით, საჭიროა 7 მეგავატი ელექტროენერგია. მათივე თქმით, ამის ფონზე, ამ პერიოდში მესტიის მუნიციპალიტეტი მოიხმარს 27 მეგავატამდე ელექტროენერგიას, ხოლო გასული წლების მონაცემებთან შედარებით, დღევანდელი მოხმარება 237%-ით არის გაზრდილი.

მაინინგი მესტიაში მიმზიდველი იმის გამოა, რომ აქ ადგილობრივები ელექტროენერგიის გადასახადს არ იხდიან, რითიც მაინერები სარგებლობენ, საბოლოოდ კი მუნიციპალიტეტი ელექტროენერგიას ჭარბად მოიხმარს, რაც მოსახლეობას სერიოზულ პრობლემებს უქმნის.

ამ ყველაფრის ფონზე „ენერგო-პრო ჯორჯია“ სრულად იხსნის პასუხისმგებლობას მესტიაში არსებულ მდგომარეობაზე და ავარიების განმეორებას პროგნოზირებს. ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკ) თავმჯდომარე დავით ნარმანია აცხადებს, რომ გამოსავალი იქნება მაინერების დაყადაღება. მესტიის მუნიციპალიტეტის მერი კახა ჟორჟოლიანი კი თვლის, რომ სვანეთში კრიპტოვალუტების წარმოება უნდა აიკრძალოს.

ფინტექ ასოციაციის თავმჯდომარე დავით კიკვიძე „კომერსანტთან“ ამბობს, რომ მესტიაში ბევრი პატარა მაინინგ ფერმაა განთავსებული, რაც უარყოფით გავლენას ახდენს ქვეყნის ენერგოსექტორზე, ამიტომ მნიშვნელოვანია მთავრობას ამაზე სერიოზული რეაგირება ჰქონდეს, თუმცა აკრძალვა გამოსავალი არ არის.

„ეს სვანური მაფიაა, მაგრამ მისი აკრძალვა გამოსავალი ვერ იქნება, მაინინგი სახელმწიფომ მკაცრად უნდა გააკონტროლოს. რეალურად ამ პრობლემის მოგვარება შესაძლებელია, თუმცა ამას სჭირდება ძლიერი კონტროლი სახელმწიფოს მხრიდან, რეგულირების სფეროების გაძლიერება, კონტროლის მექანიზმების მოფიქრება. აქვე აღსანიშნავია, რომ მესტიის ცენტრალურ უბნებში ეს პრობლემა კიდევ უფრო მარტივად გადაჭრადია, მნიშვნელოვანი კონტროლი სჭირდება უფრო სოფლებში და ისეთ ადგილებში, სადაც რთულია აღმოჩენა. ის, რომ მივიდეთ და ხატზე დავიფიცოთ, არ შველის. უკვე მერამდენედ დაიფიცეს და შედეგი, რა თქმა უნდა, არ არის.

მესტიაში მაინინგზე მკაცრი კონტროლი უნდა დაწესდეს და სპეციალური ტექნოლოგიით გამოვლინდეს მიტაცების ფაქტები. კერძოდ, მაინინგით დაკავებული პირებისთვის დამონტაჟდეს მრიცხველები, უკიდურეს შემთხვევაში კი დაყადაღდეს ტექნიკა.

რაც შეეხება აკრძალვას, ამას არ მივესალმები, რადგან ეს არ არის სამართალდარღვევა, ეს ჩვეულებრივი ეკონომიკური საქმიანობაა, რომელიც ელექტროენერგიას საჭიროებს, ამიტომ მისი აკრძალვა ნაკლებად რელევანტური მგონია. ეს ეკონომიკური საქმიანობაა, რომლიდან მიღებული სარგებელი სახელმწიფომ უნდა მიიღოს მინიმუმ გადასახადების სახით და ელექტროენერგიის დანახარჯის დაფარვაც თავისთავად უნდა მოხდეს“, — ამბობს **დავით კიკვიძე**.

აღსანიშნავია, რომ ესკო-ს მონაცემებით, 2021 წლის იანვარ-ნოემბერში საქართველოში ელექტროენერგიის მოხმარებამ 12,406 მილიარდი კვტ.სთ შეადგინა, რაც 2020 წლის ანალოგიურ პერიოდს 13.4%-ით აღემატება. ქვეყნის მთავარი იმპორტიორი რუსეთია. 2021 წლის იანვრიდან ნოემბრის ჩათვლით რუსეთიდან უკვე შესყიდულია 1.108 მილიარდი კილოვატსაათი ენერგია, მაშინ როცა, მაგალითად, 2020 წელს და 2019 წელს, ამავე ქვეყნიდან შესყიდული იყო, შესაბამისად, 570.6 მილიონი და 524.5 მილიონი კვტსთ.

ნინო თამაზაშვილი

ავტომობილების უმრავლესობა მოსახლეობასავით დაბერდა!

2020 წელს, არაფორმალური სექტორის გათვალისწინებით, ავტომობილების ბიზნესის მთლიანი ზომა 3.8 მილიარდი ლარი იყო. ამის შესახებ შპს „თეგეტა პრემიუმ ვიიქელის“ მიერ მომზადებულ ანგარიშშია ნათქვამი. კომპანია შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციაზე დაყრდნობით წერს, რომ 2.9 მილიარდი ფორმალური სექტორის ზომაა, ხოლო არაფორმალური ბიზნესი 0.9 მლრდს წარმოადგენს. დოკუმენტის მიხედვით ირკვევა, რომ დიდი ზომის არაფორმალური ბიზნესი ბევრი წვრილწვრილი ინდივიდუალური გამყიდველებისა და ავტოპარკებისგან შედგება.

მათი ინფორმაციით, 2020 წელს, პანდემიასთან დაკავშირებული შეზღუდვების ფონზე, ავტომობილების ბიზნესის არაფორმალური ნაწილი 45%-ით შემცირდა, უფრო მეტად ვიდრე ფორმალური ნაწილი, რადგან ავტომობილების და ავტონაწილების ბაზრობები დახურული იყო. ფორმალურ ბაზარში, ყველაზე დიდი წილი — 60% ავტომობილებით ვაჭრობას უჭირავს; ხოლო ავტო-ნაწილებით ვაჭრობა 38%-ს იკავებს.

ანგარიშგების თანახმად, 2020 წელს ავტომობილების მთლიანი ბიზნესის 36% საექსპორტო ბაზრებზე მოდიოდა. მომზადებული დოკუმენტის მიხედვით, ავტოპარკი საქართველოში ყოველწლიურად იზრდება. ზრდის მაჩვენებელი 2020 წელს 5.08% იყო, ხოლო რეგისტრირებულ ავტომობილთა ჯამური რაოდენობა — 1.446 მილიონი. 2020 წლის მდგომარეობით, ავტომობილების 62.4% მსუბუქია, 19.9% მსუბუქი მაღალი გამავლობის, 7.2% სატვირთო, 3.8% სამგზავრო, 2.5% სასოფლო-სამეურნეო, ხოლო დანარჩენი 4.2% წარმოადგენს მოტოტრანსპორტს, სპეციალიზებულ და სხვა ტიპის ავტოტრანსპორტს.

ირკვევა, რომ 4 წლამდე ასაკის ავტოსატრანსპორტო საშუალებები ავტოპარკის მხოლოდ 2.3%-ს შეადგენს, 4-6 წლამდე ასაკის ავტოსატრანსპორტო საშუალებები ავტოპარკის მხოლოდ 1.7%-ს, ხოლო 20 წელზე მეტი ასაკის ავტოსატრანსპორტო საშუალებები ავტოპარკის 55.1 პროცენტია.

ბაჩო ადამია

ნამოხვანი „ჰაერში გამოეკიდა“!..

„ენკამ“ საქართველო საბოლოოდ დატოვა, ვინ ააშენებს გიგანტურ ჰესს?

800-მილიონიანი ნამოხვანჰესის პროექტის ინვესტორმა კომპანია „ენკამ“ თბილისსა და ქუთაისში ოფისები დახურა. კომპანიიდან თანამშრომლების დიდი ნაწილი უკვე წავიდა. ეს ნიშნავს, რომ თურქმა ინვესტორებმა ჰესის მშენებლობაზე ხელი საბოლოოდ ჩაიქნიეს. ახლა გასარკვევი ისაა, ხელშეკრულების მოშლის სანაცვლოდ ისინი საერთაშორისო არბიტრაჟს მიმართავენ, თუ არა.

„ენკამ“ რომ წარმომადგენლობა დახურა, ამის შესახებ ინფორმაციას ადასტურებს კომპანიის უკვე ყოფილი დირექტორი **მერაბ ლომინაძეც**, რომელმაც თანამდებობა, როგორც გაირკვა, ორი თვის წინ დატოვა.

„რამდენადაც ვიცი, ოფისები დაიხურა... დემობილიზაცია მიმდინარეობს... დიდი ნაწილი თანამშრომლებისა წასულია, სხვების ნაცვლად ვერ ვისაუბრებ“, — განაცხადა „ბიემთან“ საუბრისას ლომინაძემ.

როგორც ცნობილია, კომპანია „ენკამ“ 2021 წლის სექტემბერში საფონდო ბირჟაზე ფორსმაჟორისა და კონტრაქტის პირობების დარღვევის გამო, სახელმწიფოსთან საინვესტიციო ხელშეკრულების გაწყვეტის შესახებ გააკეთა განცხადება. გავრცელებული ინფორმაციით, კომპანია საერთაშორისო საარბიტრაჟო დავის დასაწყებადაც ემზადება. ეკონომიკის მინისტრის ინფორმაციით, ჯერჯერობით არავითარი საარბიტრაჟო დავა დაწყებული არ არის და საქართველოს ხელისუფლებას იმედი აქვს, რომ ეს საქმე არბიტრაჟამდე არც მივა.

„ეს არის ჩვენი სურვილი და ამაზე მიდის მოლაპარაკება, რომ თუნდაც დატოვება მოუწიოს კომპანიას ამ პროექტის, რა ფორმით შეიძლება მოხდეს ყოველივე. ჩვენი ამოცანაა, რომ ეს არ იყოს დამაზიანებელი არც პროექტისთვის და არც ქვეყნისთვის. რასაკვირველია, ინვესტორმა გარკვეული კაპიტალდაბანდება განახორციელა, მაგრამ, ვფიქრობ, თავის დროზე მეტი მოქნილობა რომ გამოეჩინა და მეტად ემუშავა მოსახლეობასთან, არ დაეკარგა გარკვეული დრო, დღეს შეიძლებოდა, სულ სხვა სურათი ყოფილიყო, მაგრამ ვართ იქ, სადაც ვართ. ჩვენი ამოცანაა, რომ მნიშვნელოვანი პროექტი არ დადგეს დარტყმის ქვეშ. მთავარი გაკვეთილი, რაც აქედან გამოვიტანეთ, იყო ის, რომ სახელმწიფოს როლი მასში და მსგავს მსხვილ სტრატეგიულ ენერგეტიკულ პროექტებში უნდა გაიზარდოს“, — აღნიშნა მინისტრმა.

როგორც ცნობილია, კომპანია „ენკამ“ 2021 წლის სექტემბერში საფონდო ბირჟაზე ფორს-მაჟორისა და კონტრაქტის პირობების დარღვევის გამო, სახელმწიფოსთან საინვესტიციო ხელშეკრულების გაწყვეტის შესახებ გააკეთა განცხადება. მთავრობაში იმედს გამოთქვამენ, რომ ნამოხვანჰესი სახელმწიფოსა და სხვა ინვესტორის დაინტერესებით აშენდება.

„თუკი ინვესტორი და ჩვენ საბოლოოდ ვერ შევთანხმდებით პირობებზე, რითიც მათი დაბრუნება შეიძლება, პროექტიდან მათი გასვლა უნდა იყოს ურთიერთშეთანხმებითი.

მომავალში შეიძლება, თვითონ სახელმწიფომ განახორციელოს. ურიგო არ იქნება, „ლიდერშიფი“ სახელმწიფოს ჰქონდეს. შეიძლება, სახელმწიფო სრულად არ იყოს და სხვა ინვესტორიც შემოვიდეს პროექტში. რაც მთავარია, ძალიან ბევრი რამ გვასწავლა ამ პრობლემამ, დაგვანახვა, რომ ასეთ მსხვილ პროექტებს სჭირდება განსხვავებული მიდგომა, მეტი მუშაობა მთავრობის მხრიდან მოსახლეობასთან და უფრო მეტი მომზადება. ძალიან დიდი იმედი გვაქვს, რომ ნამოხვანი აშენდება, პროექტში სახელმწიფოს დიდი ჩართვით“, — აღნიშნა **ნათია თურნავამ** და კიდევ ერთხელ ხაზი გაუსვა, რომ ჰესის მშენებლობას ქვეყნის ენერგოდამოუკიდებლობისთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს.

ბექა დანელია



„პუტინს უნდა შევხედოთ, როგორც ტონი სოპრანოს“

ედვარდ ლუკასი მოსკოვთან მოლაპარაკებების, ომის რეალური საფრთხისა და საქართველოს შესახებ

ეს რა უვიცი და ქართული პრობლემების არმცოდნე ყოფილა ბრიტანელი „ანალიტიკოსი“ ედვარდ ლუკასი!

შეიცოდეთ ქართველებო, რამეთუ არაფერი იცის და როშავს!..

„ძალიან გაბრაზებული და იმედგაცრუებული ვარ – დასავლეთის გასაგონად უკვე 15 წელიწადია ვწერ. და არა მარტო მე – ბალტიელები, რეგიონის სხვა ქვეყნები, 1990-იანი წლებიდან გამუდმებით გვაფრთხილებდნენ, რომ რუსეთი სახიფათო გზას ადგას. და, რა თქმა უნდა, არავინ მოგვისმინა. შედეგად, დღეს ევროპული უსაფრთხოების უმწვავესი კრიზისისა და ომის რეალური საფრთხის წინაშე ვდგავართ“, – უთხრა რადიო თავისუფლებას ბრიტანელმა ჟურნალისტმა და ევროპული პოლიტიკის ცენტრის ანალიტიკოსმა ედვარდ ლუკასმა.

ვაჟა თავბერიძე მას პრაღიდან ესაუბრა.

– რადიო თავისუფლება: როგორ ფიქრობთ, რატომ დასჭირდა დასავლეთს ამდენი დრო „გამოსაღვიძებლად“?

– ედვარდ ლუკასი: და გამოიღვიძა კი დასავლეთმა? მე ვიტყოდი, რომ ნახევარ დასავლეთს ჯერ ისევ სძინავს. ეს ის ფილოსოფიაა, რომელსაც ვერა და ვერ ველეოდით – რომ ყველაფერი ნატოს გაფართოების ბრალია, რომ ვერ შევძელით, რუსეთთან საქმიანი დიალოგი გვქონოდა. შედეგად გვყავს 14000 დაღუპული უკრაინელი და ვშიშობ, ეს რიცხვი კიდევ გაიზრდება – ეს ყველაფერი კი დასავლეთის გულუბრყვილობის, თვითკმაყოფილებისა და სიხარბის „დამსახურებაა“.

ჩვენ ჩავთვალეთ, რომ ცივი ომი მორჩა და აღარ გამეორდებოდა – ვერ შევიგნეთ, რომ ჩეკისტი ჩეკისტად დარჩება, თუნდაც ეპოლეტებზე ნამგალი და ურო არ ეხატოს. ეს სერიოზული შეცდომა იყო. არც ის გვესმოდა, რომ სუსტი რუსეთიც კი იმპერიალისტობას ვერ შეელევა – აი, ეს იყო დასავლეთის გულუბრყვილობა. შემდეგ ვთქვით – დიახ, პრობლემა არსებობს. მაგრამ თვითკმაყოფილებამ გვძლია, და გადავწყვიტეთ, რომ ეს არც ისე სერიოზული პრობლემაა, რომ საჭირო იყო ცოტაოდენი დიალოგი რუსეთთან, ცოტახნით ნატოს გაფართოების შენელება აღმოსავლეთ ევროპაში და ამ პრობლემას მოვაგვარებდით. დაბოლოს, ყველაზე ამაზრზენი, რაც ჩავიდინეთ – სიხარბე. მიუხედავად პრობლემისა, მთელი ამ დროის განმავლობაში რუსეთთან ფულის კეთებას ვერ შეველიეთ. ლენინმა თქვა: „კაპიტალისტები მზად არიან, მოგვყიდონ თოკი, რომელზედაც მათ ჩამოვკიდებთ“. მეორე ვლადიმირმა, პუტინმა კი, ეს პრინციპი რეალურ პრაქტიკად აქცია. კარგა გრძელი თოკი შემოგვაჩეჩა და ჩვენც დიდი მონდომებით დავწანით ყულფი...

– რუსეთთან დიალოგის ფორმატი, რომელსაც ასე ვერ ელევა დასავლეთის ზოგი ლიდერი - რა მოიგო დასავლეთმა ამით?

– მე ვემხრობი დიალოგსა და მოლაპარაკებებს, მაგრამ ზუსტად უნდა იცოდე, რა მიზნები გაქვს, რისი დათმობა შეგიძლია და რისი არა. თუ მაფიოზი მოგადგება და გეტყვის: შენი ბიზნესი უნდა მომცე, შენი პასუხი არ უნდა იყოს: „ოკეი, დავსხდეთ და მოვილაპარაკოთ“. უნდა თქვა, რომ პოლიციაში დარეკავ. ჩვენ ასე არ მოვიქეცით. პუტინს უნდა შევხედოთ, როგორც ტონი სოპრანოს **(ტონი სოპრანო – მაფიოზების ბოსი პოპულარული ამერიკული სერიალიდან „სოპრანოს კლანი“)** – ეს სერიალი მშვენიერი სახელმძღვანელოა პუტინის და, ზოგადად, რუსული აზროვნების შესასწავლად.

– დიდმა ბრიტანეთმა უკრაინას ტანკსაწინააღმდეგო შეიარაღება გადასცა – რამდენად დიდია ბრიტანული „ფსონი“ და ჩართულობა ამ კონფრონტაციაში?

– ამ ამბავმა გამახარა – და კიდევ უფრო უკეთესი იქნებოდა, ეს რომ უფრო ადრე გაგვეკეთებინა. ბრიტანეთი რუსულ საფრთხეს სერიოზულად აღიქვამს და უკრაინის მხარდაჭერა ჩვენი სტრატეგიის ერთ-ერთი პრინციპია. იდეალურ სამყაროში, გერმანიის კანცლერი შოლცი და საფრანგეთის პრეზიდენტი მაკრონი გამოვიდოდნენ და ხმამაღლა განაცხადებდნენ – უკრაინელების მხარეს ვართ, და არავის მივცემთ უფლებას, ევროპაში „დაყავი და იბატონე“ გააჩაღონ. მაგრამ ვშიშობ, ეს მხოლოდ ჩემს სურვილად დარჩება – გერმანიის მთავრობა საპირისპირო მიდგომას არჩევს: უკრაინას იარაღი არ უნდა მივცეთ, რათა სიტუაციის ესკალაცია არ მოხდესო. ამის კეთებით კი, ფაქტობრივად, უზრუნველყოფენ სიტუაციის გაუარესებას.

– ვრცელდება ინფორმაცია, რომ კანადამ უკრაინაში სპეციალური ძალების მცირე ჯგუფი გაგზავნა – უნდა ველოდოთ თუ არა მეტ მსგავს ნაბიჯებს ბრიტანეთისა და კანადისაგან?

– კანადელები უპატივცემულობაში ნუ ჩამომართმევენ, მაგრამ არა მგონია, პუტინმა შეიცხადოს: „ღმერთო ჩემო, კანადელები მოდიან, გეგმები უნდა შევცვალოთ!“-ო. რაც გვჭირდება, არის ბალტიის ქვეყნებში ნატოს საგრძნობი და დაუყოვნებელი გაძლიერება. ვადამდელი წვრთნები ნატოს ეგიდით, რათა ვაჩვენოთ, რომ ნატო მზად არის თავისი წევრების დასაცავად. ძლიერი ორმხრივი მხარდაჭერა უკრაინისთვის, და არა მხოლოდ სამხედრო კუთხით - ვიტყოდი, რომ ევროკავშირი უნდა დაფიქრდეს უკრაინასთან წევრობაზე მოლაპარაკებების დაჩქარებაზე. თუ ევროპული საბჭო შეიკრიბება და გამოაცხადებს: დიახ, გვინდა, უკრაინა რაც შეიძლება მალე ჩვენს რიგებში ვიხილოთ, ეს სიგნალი იქნება პუტინისთვის, რომ მისი ქმედებები კონტრპროდუქტიულია. რომ თუ ის ეცდება, დასავლეთს უკრაინა გამოგლიჯოს, დასავლეთიც სათანადოდ უპასუხებს. ასე უნდა მოიქცეს დასავლეთი, ჩემი აზრით, მაგრამ ვშიშობ, რომ ეს არ მოხდება.

– როგორ გგონიათ, რატომაა, რომ უფრო მეტი ადამიანი არ ფიქრობს ისე, როგორც თქვენ?

– აბა, რა გითხრათ – თავს კასანდრასავით ვგრძნობ – ტროის თავზე კვამლი ადის. მე კი ისევ ვაფრთხილებ მათ ტროის ცხენის შესახებ. ყველა წინასწარმეტყველება ახდა, თუმცა მაინც არავინ აქცევს ყურადღებას.

– როგორც მოსალოდნელი იყო, დასავლეთმა კრემლს ოდიოზური „უსაფრთხოების გარანტიების“ მიცემაზე უარი უთხრა – და მიუხედავად ამისა, საგარეო საქმეთა მინისტრი ლავროვი ამბობს, რომ კრემლში ვაშინგტონისა და ნატოსგან წერილობით პასუხს ელოდებიან. ისმის კითხვა – რატომ?

– მიზეზი, რატომ ბედავს რუსეთი მსგავსი ულტიმატუმების წამოყენებას, მარტივია: ნატო, იმის ნაცვლად, რომ უკრაინისთვის დიდი ხნის წინ მისაცემი მაპ-ი გაემეტებინა, პირიქით, რუსეთის ხედვის განმტკიცებას შეუდგა – ხედვისა, რომ რუსეთი მხოლოდ მაშინაა დაცული, როდესაც მისი მეზობლები არიან დაუცველები. რაც შეეხება იმას, თუ რად უნდათ რუსებს წერილობითი პასუხი, აქ ორი შესაძლო სცენარია. ერთი, ამ ქაღალდზე რამე ისეთი ეწერება, რასაც რუსეთი დაამახინჯებს და საკუთარ გამარჯვებად გაასაღებს. მეორე სცენარის მიხედვით კი, რუსეთი შესძახებს: „ნახეთ! შეხედეთ დასავლეთის ულტიმატუმს! ისინი სხვა გზას არ გვიტოვებენ, გარდა იმისა, რომ ძალის გამოყენებით ვუპასუხოთ!“

უნდა გვახსოვდეს, რომ პუტინს დიდად არ ანაღვლებს „პრავდა“-სა და „ისტინა“-ს შორის

განსხვავებები, იმ შემთხვევაში, თუ შეუძლია სიმართლე თავის ინტერესებს მოარგოს და მერე რუს ხალხს ჭეშმარიტებად შეასაღოს.

– თუ მოქმედებები მეორე სცენარის მიხედვით განვითარდა, როგორ ფიქრობთ, სად შეიჭრება რუსეთი – რა იქნება კრემლისთვის პრიორიტეტული სამიზნე?

– ვფიქრობ, კრემლში სხვადასხვა ვარიანტზე მუშაობენ და ერთ-ერთია, რამე ისეთი მანევრი შემოგვთავაზონ, რაც დასავლეთს ღია ომზე ნაკლებად აფრთხობს. მაგალითად, რაიმე ახალი შეთანხმება ბელარუსთან, რომელიც თან უკრაინას შეუქმნის საფრთხეს, თანაც ბელარუსს გადააქცევს რუსეთის ფედერაციის ნაწილად მინიმუმ სამხედრო თვალსაზრისით. ეს თუ მართლა მოხდება, ეჭვი არ შეგეპაროთ, რომ ბევრი დასავლეთში შვებით ამოისუნთქებს: მადლობა ღმერთს, ომამდე არ მივიდა საქმეო. მეორე მხრივ, შესაძლოა, ყირიმისთვის წყლის მიწოდების პრობლემის მოსაგვარებლად ჩრდილო ყირიმის არხს დაეპატრონონ. შეუძლიათ აზოვის ზღვაში გაითამაშონ რაიმე ან მარიუპოლის დაკავება სცადონ. არც ისაა გამორიცხული, რაიმე ფორმით დონეცკისა და ლუგანსკის ოლქები ფედერაციის სუბიექტებად გამოაცხადონ და ამის შემდეგ იმოქმედონ. ინიციატივა პუტინს აქვს და არჩევანიც მასზეა - ის პიანისტია, რომელიც როიალს უზის და ფიქრობს, რა მელოდია დაუკრას. ჩვენ კი, იმის მაგივრად, რომ დაკვრის უფლება არ მივცეთ, ველოდებით, რას დაუკრავს.

– დასავლეთი რუსეთს „უპრეცედენტო“ სანქციებით ემუქრება – რამდენად „უპრეცედენტო“ უნდა იყოს სანქციები, რომ პუტინმა საკუთარ გეგმებზე უარი თქვას?

– ვფიქრობ, მარტო სანქციებით არ უნდა დავკმაყოფილდეთ, მთავარია ვაჩვენოთ, რომ მზად ვართ, თავი დავიცვათ. როგორც აღვნიშნე, უნდა დავაჩქაროთ უკრაინის ევროკავშირში გაწევრება, ბალტიის რეგიონში მეტი სამხედრო ძალა და ინფრასტრუქტურა უნდა განთავსდეს, რაღაც უნდა გაკეთდეს შავ ზღვაშიც. უფრო ინტენსიურად უნდა განიხილებოდეს ფინეთისა და შვედეთის ნატოში შესვლის სცენარებიც.

– ამბობთ, რომ ევროკავშირმა უნდა დააჩქაროს უკრაინის გაწევრიანება, ნატომ კი კიევს MAP-ი უნდა მისცეს. საქართველო სად ფიგურირებს ამ ოპტიმისტურ სცენარში?

– ვფიქრობ, საქართველომ ერთობ რთულ მდგომარეობაში ჩაიგდო თავი – თქვენ დაკარგეთ რეგიონში დემოკრატიის, კანონის უზენაესობისა და მედიის თავისუფლების ფორპოსტის სტატუსი და რეპუტაცია. და ამის შედეგად, ვფიქრობ, დასავლეთის დღის წესრიგის ბოლოსკენ „ჩაჩოჩდით“. ეს ძალიან მაწუხებს, ჩემს დღის წესრიგში საქართველო ისევ მნიშვნელოვანი საკითხია – უამრავი ქართველი მეგობარი მყავს და ძალიან მადარდებს ის, რაც ხდება საქართველოში. ვფიქრობ, ქვეყნის შიგნით შექმნილი სიტუაცია არათუ ეხმარება, უშუალოდ აზარალებს საგარეო პოლიტიკის ვექტორს, ამიტომ გულახდილად უნდა ვთქვათ, რომ საქართველოს ნატოსა და ევროკავშირში გაწევრება დასავლეთისთვის ახლა უფრო ნაკლებად პრიორიტეტული გახდა, ვიდრე მანამდე იყო. ბევრი იმასაც კი იტყვის, რომ საქართველო უკვე დიდი ხანია რუსეთის ორბიტაზეა, რომ ამ ქვეყანას აღარ აქვს ის სტრატეგიული და სიმბოლური მნიშვნელობა, რაც ადრე ჰქონდა. მე ასე არ ვფიქრობ, არ მინდა ჩრდილი მივაყენო საქართველოს შანსებს, მეტიც, დღემდე მწამს, რომ საჭიროა, საქართველო ნატოსა და ევროკავშირის წევრი გახდეს. მაგრამ, უხეშად რომ ვთქვათ, ამისთვის აუცილებელია საქართველო აზრზე მოვიდეს – არა მგონია, ბატონ ივანიშვილს და „ქართულ ოცნებას“ გააზრებული ჰქონდეთ, რამხელა ზიანს აყენებს მათი შიდაპოლიტიკური მაქინაციები ქვეყნის რეპუტაციას. ასე რომ, საჭირო იქნება ძირეული გარდაქმნა, რომ საქართველო ისევ სერიოზულად აღიქმებოდეს.

ვაჟა თავბერიძე



დიქტატორი კომიკოსად ჩამოტაკიმასხარავდა!

„ნაციონალური მოძრაობა“ ისევ მესამე პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის ციხიდან დახსნის გზების ძიებაშია. პარტიის მიერ ნაცადმა ჯერჯერობით არც ერთმა ხერხმა არ გაამართლა, ამიტომ ახლა აქტიურობის ორი გზა აირჩიეს. ენმ კონკრეტული სასულიერო პირების დახმარებით შეეცდება, რომ სააკაშვილის ე.წ. შინა პატიმრობის თემა უფრო აქტიურად განიხილოს და ამის პარალელურად კონკრეტული ექიმების მეშვეობით მისი ჯამრთელობა კიდევ უფრო დაამძიმონ.

3 თვის თავზე სააკაშვილს ჯერ კიდევ იმედი აქვს, რომ ამომრჩეველი ქუჩის პერმანენტული აქციებით ციხიდან მის გათავისუფლებას მოითხოვს და აზვირთებული საპროტესტო მუხტი ხელისუფლებას აიძულებს ის გათავისუფლოს. თუმცა როგორც აღმოჩნდა, სააკაშვილი საკუთარ ელექტორატსაც და პარტიასაც დაავიწყდა; დანარჩენი ოპოზიცია მის ორბიტაზე გაკარებასაც ჭირივით ერიდება, ხოლო ხელისუფლებას სააკაშვილის ციხეში ყოფნა არანაირ დისკომფორტს არ უქმნის. შესაბამისად, რამ უნდა აიძულოს „ოცნება“, რომ სააკაშვილი ციხიდან სხვა დაწესებულებაში გადაიყვანოს, გაუგებარია.

ახალქალაქის, კუმურდოსა და კარის მიტროპოლიტი ხელისუფლებას სთავაზობს მესამე პრეზიდენტი მის ეპარქიაში, შინაპატიმრობაში გადაიყვანონ. **მეუფე ნიკოლოზი** მიიჩნევს, რომ პრობლემის ამგვარი მოგვარება ყველა მხარისთვის მისაღები იქნება.

მეუფე ნიკოლოზი „ტვ პირველთან“ საუბარში ადასტურებს, რომ მიხეილ სააკაშვილის ციხიდან მონასტერში გადაყვანის საკითხზე პრემიერ ღარიბაშვილს ელაპარაკა. მთავრობის მეთაური დღეს სამების საკათედრო ტაძარში იყო მისული. სავარაუდოა, რომ ეს საუბარი წმინდა სინოდის წევრს და მღვდელმთავარს შორის საკურთხეველში შედგა.

„ეს არის ჩემი მხრიდან შეთავაზება. ბატონი ირაკლი ხშირად დადის ტაძარში. დღეს ძალიან მნიშვნელოვანი განცხადება გააკეთა იორდანიის მეფის მიერ ჩვენი ეკლესიისთვის მიწის იცის გადმოცემაზე. მორწმუნე ადამიანია და არ შეიძლება მას რაიმე განსხვავებული აზრი ჰქონდეს. მე შევთავაზე სხვა ადამიანებსაც... არ ვიცი ამას რა შედეგი მოჰყვება... მგონია, რომ არ იქნება სწორი ჩემი მხრიდან ჩემი მასთან პირადი კომუნიკაციის გასაჯაროება“, — თქვა მეუფე ნიკოლოზმა.

სახალხო დამცველის მიერ შექმნილი სპეციალისტთა ჯგუფი და თავად ომბუდსმენი, მსჯავრდებულ ექსპრეზიდენტთან ვიზიტებს ამ ეტაპზე წყვეტს. ისინი ამბობენ, რომ სასჯელაღსრულების დაწესებულებაში პატიმრის მონახულება ვითარებას არ ცვლის. უცვლელია მათი მთავარი რეკომენდაცია — ფსიქოლოგიურთან ერთად, მიხეილ სააკაშვილს ფიზიკური რეაბილიტაცია ჩაუტარდეს.

სახალხო დამცველის მიერ შექმნილი კონსილიუმის შემაჯამებელი დასკვნა, ექიმთა ჯგუფმა ნომერ მე-12 პენიტენციურ დაწესებულებაში, მიხეილ სააკაშვილთან რამდენიმე ვიზიტის შემდეგ მოამზადა. სპეციალისტების ზოგადი შეფასებით, მდგომარეობა საყურადღებოა. მედიკოსები ექსპრეზიდენტის პოსტტრავმულ აშლილობასა და დეპრესიაზე საუბრობენ. რეკომენდაცია მხოლოდ პასუხისმგებელ უწყებებს არ ეხება — ექიმები მიხეილ სააკაშვილსაც მიმართავენ და განუმარტავენ, რომ პროტესტის რადიკალური ფორმები მის მდგომარეობას კიდევ უფრო შეცვლის.

კონსილიუმის წევრები თანხმდებიან, რომ სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის, მუშაობის დაწყება სასჯელაღსრულების დაწესებულებაშიც შესაძლებელია. ექიმების ნაწილი ამბობს, რომ არსებობს მედიკოსთა ჯგუფი, რომელიც მზად არის მკურნალობის პირველი ეტაპისთვის, თუმცა ამისთვის მსჯავრდებულის თანხმობასთან ერთად, აუცილებელია შესაბამისი უწყების ნებართვა.

ყველა ის დიაგნოსტიკური მეთოდი, რომლის გამოყენებაზეც სახალხო დამცველიც და სპეციალისტებიც საუბრობენ, საქართველოში ხელმისაწვდომია. შესაბამისად, სპეციალისტების ჯგუფი ისევ არ საუბრობს სააკაშვილის საზღვარგარეთ გადაყვანის აუცილებლობაზე.

კონსილიუმის წევრების და სახალხო დამცველის გადაწყვეტილების მიუხედავად, ამ ეტაპზე სააკაშვილთან ვიზიტები შეწყვიტონ, ომბუდსმენი ამბობს, რომ საჭიროების შემთხვევაში, ნებისმიერ დროს მზად არიან მსჯავრდებული პრეზიდენტის მოსანახულებლად.

ანალიტიკოსი **გია აბაშიძე** მიიჩნევს, რომ მიხეილ სააკაშვილის ირგვლივ ერთდროულად ალაპარაკებული სასულიერო პირი და მედიკოსები, რომლებიც მის მძიმე ჯანმრთელობაზე საუბრობენ, ერთი დიდი სცენარის ნაწილია. აბაშიძე ამბობს, რომ ნებსით თუ უნებლიეთ მეუფე ნიკოლოზი და ექიმები „ნაციონალების“ მხრიდან ამ თამაშში არიან ჩართულები.

ბევრი პატიმარია, რომელიც ოჯახური და სოციალური პირობების გამო მძიმე სტრესის ქვეშ იმყოფება. ამიტომ ჯობია, რომ მონასტერში წასვლა ამ ადამიანებს შესთავაზოს. ველი, რომ ეს ამბავი სხვა რამდენიმე სერიალად კიდევ გაგრძელდება. სააკაშვილი უნდა დაიხსნან, გაუშვან და ა.შ. „ნაციონალები“ კი ამისთვის არაერთ ხერხს გამოიყენებენ. მომდევნო სერიაში არ არის გამორიცხული, რომ მისი რომელიმე ევროპულ კუნძულზე გამგზავრება მოისურვონ. ჩვენი პენიტენციური სამსახურის სისტემა იმდენად გამართულია, რომ ამ ტყუილებს არავინ დაიჯერებს. სააკაშვილს ექცევიან ისე, როგორც ყველა სხვა პატიმარს“, — აცხადებს აბაშიძე.

მისივე თქმით, ჰიპოტეტურადაც რომ დავუშვათ, სააკაშვილი რომელიმე მონასტერში ან ისევ საავადმყოფოში გადაიყვანონ, ქართველი სამართალდამცველებისთვის ძალიან დიდი თავისტკივილი იქნება. მის დაცვას უამრავი ფინანსური და ადამიანური რესურსი დასჭირდება. ანალიტიკოსი ამბობს, რომ სააკაშვილს და მის გარემოცვას ავიწყდება, რამდენი ოჯახი და ადამიანი ერჩით. ამიტომ მან კარგად უნდა გაათვითცნობიეროს, რომ ის ყველაზე უსაფრთხოდ ქართულ ციხეში იმყოფება.

ანალიტიკოსი **პაატა ზაქარეიშვილი** მიიჩნევს, რომ ხელისუფლებისთვის სააკაშვილი, მეტ-ნაკლებად, პრობლემას აღარ წარმოადგენს. **ენმ**-მა და სააკაშვილმა რეალურად ვერ შეძლეს, შიმშილობაც კი მიატოვეს, რომ მოსახლეობა ქუჩაში გამოეყვანათ და მისი გათავისუფლების საკითხი სხვა პრობლემებზე პრიორიტეტული გაეხადათ.

„მიუხედავად ზემოთ ჩემ მიერ ნახსენები ფაქტისა, ხელისუფლება სააკაშვილთან დაკავშირებით მაინც ჩიხშია. რაღაცა გადაწყვეტილება უნდა მიიღონ. ალბათ, ახლა ხელისუფლებისთვის ყველაზე კარგი გამოსავალი მისი უკრაინაში გასტუმრება იქნება. თუ ის საქართველოს ციხეში იქნება, მისი გამოყენება სხვა პრობლემების გადასაფარად ხელისუფლებას ამ ეტაპზე კარგად გამოსდის. მთელი მისი მედია და საზოგადოების ყურადღება მის ჯანმრთელობასა და შარდის ანალიზზეა გადატანილი. კორონავირუსი, სიღარიბე, ფასების კატასტროფულად აწევა, ეკონომიკური პრობლემები, ყველაფერი მეორე პლანზე იწევს და პრიორიტეტული მხოლოდ სააკაშვილია.

ხელისუფლებას ეს ძალიან აწყობს. ვიდრე ვითარება არ დაიძაბება და სააკაშვილი ციხეში ცოცხალი იქნება, ხელისუფლებას მისი პერსონა დიდად უკვე აღარ აწუხებს. „ოცნება“ არ დაუშვებს, რომ სააკაშვილი ეკლესიის წიაღში გადავიდეს. ჩვენს ქვეყანაში ამ ინსტიტუტს ბევრი ადამიანი პატივს სცემს. შესაბამისად, არ არის გამორიცხული, რომ სააკაშვილის რეიტინგმა აიწიოს. ამიტომ მეუფე ნიკოლოზის ინიციატივა ნაკლებად რეალურად მიმაჩნია“, — ამბობს for.ge-სთან ზაქარეიშვილი.

მისივე თქმით, ახლა სააკაშვილის განცხადებები იმდენად არაადეკვატურია, რომ მისი ამომრჩეველიც კი მისგან დისტანცირებას ახდენს.

„სააკაშვილი გამოდის და რიგგარეშე არჩევნებს ითხოვს. არადა ეს ამ დროს არავის ახსოვს და არც აინტერესებს. თავის დროზე სტალინი ლენინისთვის გაზეთ „პრავდას“ ბეჭდავდა. ამით ლენინს განცდას და შთაბეჭდილებას უქმნიდნენ, რომ ქვეყანაში ყველაფერი კარგად იყო. „ნაციონალურ მოძრაობას“ ვურჩევ, სააკაშვილისთვის ცალკე გაზეთი „პრავდა“ დაბეჭდონ. იქ დაწერონ, რომ რიგგარეშე არჩევნები ჩატარდა, ხალხი მის მხარეს არის და ის ისევ პრეზიდენტის სასახლეში იმყოფება. სააკაშვილმა საკუთარი თავი უკვე კომიკურ პერსონაჟად აქცია. იმის ნაცვლად, რომ სხვა საკითხებზე ისაუბროს, რიგგარეშე არჩევნებზე ლაპარაკობს. არადა მის გარდა ეს არავის აღარ ახსოვს. ენმ-ს ვურჩევ სააკაშვილზე იმუშაონ, რადგან ცოტა ადეკვატური გახდეს და მის მიმართ პატივისცემა მოსახლეობაში გაიზარდოს“, — აცხადებს პაატა ზაქარეიშვილი.

ლიკა ბერიკაშვილი

ირაკლი კობახიძე: თუ სადმე გაუჭირდება ყოფნა სააკაშვილს, ეს არის მონასტერი

იმისთვის, რომ სამართლიანობის პრინციპი დაცული იყოს, მიხეილ სააკაშვილმა სასჯელი იქ უნდა მოიხადოს, სადაც იხდიან სხვა პატიმრები — ეს არის სასჯელაღსრულების დაწესებულება, — ამის შესახებ „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ, ირაკლი კობახიძემ ჟურნალისტებთან განაცხადა.

„თუ სადმე გაუჭირდება მას ფსიქოლოგიურად ყოფნა, იმდენი მოუნანიებელი დანაშაული აქვს ჩადენილი, რომ ყველაზე მეტად, ეს არის მონასტერი“, — განაცხადა კობახიძემ.

ირაკლი ზარქუა: ჩვენ გვყავს მხდალი ყოფილი მთავარსარდალი, რომელმაც დახია ქართული პასპორტი და დაზარალებულად უნდა ცნონო, სად გაგონილა?

ის ზის ციხეში დამსახურებულად, კონკრეტული დანაშაულების გამო, – აცხადებს საპარლამენტო უმრავლესობის წევრი ირაკლი ზარქუა, რომელიც გამოეხმაურა ადვოკატების მოთხოვნას, მიხეილ სააკაშვილისთვის არაადამიანური მოპყრობისთვის დაზარალებულის სტატუსის მინიჭების შესახებ.

– „დაზარალებული არის 300 000-ზე მეტი მოქალაქე ჩვენი ქვეყნისა, რომლებიც აწამეს, ტერორში ჰყავდათ წლების განმავლობაში და სააკაშვილი კონკრეტული დანაშაულებისთვის იხდის სასჯელს. რა დაზარალებულია მიშა? – ალბათ, ხუმრობს, საახალწლო ხუმრობაა. ის ზის ციხეში დამსახურებულად, კონკრეტული დანაშაულების გამო. სხვათა შორის, ბატონი პოროშენკო, რომელიც ჩავიდა უკრაინაში, არ შეპარულა, ჩავიდა და თქვა, რომ თუ დამნაშავე ვარ, აგერ სასამართლომ გადაწყვიტოსო, არც არაფნებით შეპარულა, არც მოქალაქეობა „დაუხევია“ პოროშენკოს და ეს არის ნათელი მაგალითი, როგორ იქცევიან სახელმწიფო მოხელეები, დამნაშავეა თუ არა, ამას უკვე გადაწყვეტს უკრაინის სასამართლო. შედარება რომ გავაკეთოთ, ჩვენ გვყავს მხდალი ყოფილი მთავარსარდალი, რომელმაც დახია ქართული პასპორტი და დაზარალებულად უნდა სცნონო, სად გაგონილა?“ – განაცხადა ზარქუამ.

ლევან ვეფხვაძე: ბრალდებულებმა დანაშაული აღიარეს

დიახ, ბრალდებულებმა დანაშაული აღიარეს, ბრალდების მხარის მტკიცებულებები დაცვის მხარემ გახადა უდავო, – ამის შესახებ მიხეილ სააკაშვილის მიერ საზღვრის კვეთის საქმის პროკურორმა, ლევან ვეფხვაძემ სააკაშვილის საქმეზე ბრალდებულების გათავისუფლებაზე საუბრისას განაცხადა. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ახალი გარემოება არის ის, რომ ბრალდების მხარის მტკიცებულებები დაცვის მხარემ გახადა უდავო.

„გარდა ამისა, ბრალდებულებმა აღიარეს ჩადენილი დანაშაული. აქედან გამომდინარე დაცვის მხარის შუამდგომლობის საფუძველზე, ბრალდების მხარეც დაეთანხმა და მიაჩნია, რომ ნაკლებად მკაცრი აღმკვეთი ღონისძიება უზრუნველყოფს მათ სათანადო ქცევას და მოსამართლემ შეუფარდა გირაო 5 000 ლარის ოდენობით. მოწმეების, წერილობითი და ვიდეომტკიცებულებების გამოკვლევა აღარ მოხდება, ვინაიდან დაცვის მხარემ უდავო გახადა ყველა მტკიცებულება“ – განაცხადა პროკურორმა.

მოსამართლის გადაწყვეტილებით, მიხეილ სააკაშვილის საქმეზე ბრალდებულები: გიორგი ნარიმანიძე, ელგუჯა ცომაია, ზურაბ და შალვა წოწორიები სასამართლო დარბაზიდან გათავისუფლდნენ და მათ 5000-5000-ლარიანი გირაო შეეფარდათ.

ეს ჩვენი დღევანდელობაა...

ვინ უხელმძღვანელებს მარჯანიშვილისა და თუმანიშვილის თეატრებს?

საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი თეატრების სამხატვრო ხელმძღვანელების შერჩევის მიზნით კონკურსი კიდევ 2 თეატრში ცხადდება, – ამის შესახებ ინფორმაციას კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო ავრცელებს. მათივე ინფორმაციით, ამჯერად, სამინისტრომ კონკურსი სსიპ თბილისის კოტე მარჯანიშვილის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის და სსიპ თბილისის მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა პროფესიული სახელმწიფო თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელების შესარჩევად გამოაცხადა.

კონკურსის პირობებსა და ვადებზე საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრმა თეა წულუკიანმა ბრიფინგზე ისაუბრა. მან აღნიშნა, რომ სამინისტროსთვის კანდიდატურის წარდგენის უფლება აქვს თეატრალური საქმიანობით დაკავებულ იურიდიულ პირს, რომელსაც გააჩნია საქმიანობის არანაკლებ ხუთწლიანი გამოცდილება, ან თეატრალური საქმიანობით დაკავებული პირებისაგან შემდგარ საინიციატივო ჯგუფს არანაკლებ ხუთი წევრის შემადგენლობით.

კანდიდატი ვალდებულია, წარადგინოს თეატრის განვითარების საკუთარი ხედვა და კონცეფცია, რომელშიც მან უნდა ახსნას, თუ როგორ ხედავს ის თეატრის განვითარებას; თეატრის გარედან მოწვეული ქართველი და უცხოელი რეჟისორების მიერ დადგმული სპექტაკლების შეთავაზებას საზოგადოებისათვის; თეატრის მეშვეობით ახალგაზრდა მსახიობების, რეჟისორების, დრამატურგების, თეატრის მხატვრებისა და სხვა პროფესიონალების ხელშეწყობას; ასევე, თეატრის მონაწილეობას მოცემული ქალაქისა და რეგიონის კულტურულ და სოციალურ განვითარებაში და სხვ. თითოეული კანდიდატი საკონკურსოდ წარადგენს 4-წლიან სამოქმედო გეგმას და სამოქმედო პროგრამას, რომლის შესრულებაზეც ის ვალდებულებას იღებს სახელმწიფოს წინაშე.

სამინისტრო უფლებამოსილია, მის მიერ საბჭოსათვის კანდიდატთა სიის წარდგენამდე, მიიღოს გადაწყვეტილება კონკურსის ჩაშლისა და თავიდან გამოცხადების შესახებ, იმ შემთხვევაში, თუ წარდგენილი კანდიდატებიდან არც ერთი არ აკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ კრიტერიუმებს ან/და შერჩეული კანდიდატების საბჭოსთვის წარდგენა არ ჩაითვლება მიზანშეწონილად.

შეგახსენებთ, რომ 12 იანვარს კონკურსის შედეგად ალექსანდრე წუწუნავას სახელობის ოზურგეთის სახელმწიფო დრამატული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელად **ვასილ ჩიგოგიძე,** ხოლო გიორგი მიქელაძის სახელობის თბილისის თოჯინების სახელმწიფო თეატრის ხელმძღვანელად **ნიკოლოზ საბაშვილი** დაინიშნენ. საკუთარი შეხედულებისამებრ, უკონკურსოდ, დაინიშნა სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი ოთხი თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელები. მინისტრის გადაწყვეტილებით, რეზო გაბრიაძის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელად – რეჟისორი და მსახიობი ლევან გაბრიაძე, ჩრდილების პროფესიული სახელმწიფო თეატრ „აფხაზეთის“ სამხატვრო ხელმძღვანელად – რეჟისორი, მსახიობი და დრამატურგი გელა კანდელაკი, შოთა რუსთაველის სახელობის ეროვნული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელად – **რობერტ სტურუა,** ხოლო გრიბოედოვის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელად **ავთანდილ ვარსიმაშვილი** დაინიშნენ.

თეატრი ციხეშიც არის!

№5(ქალთა) პენიტენციურ დაწესებულებაში მსჯავრდებულების, მათ შორის, უცხოელი პატიმრების მონაწილეობით სპექტაკლი სახელწოდებით „თეატრი აქაც არის“ გაიმართა, – ამის შესახებ ინფორმაციას სპეციალური პენიტენციური სამსახური ავრცელებს.

მათივე ინფორმაციით, დაწესებულებაში სპექტაკლი რეჟისორმა ნელი ბადალაშვილმა დადგა, რომელიც იუსტიციის სამინისტროს საგრანტო კონკურსის გამარჯვებულია. სპექტაკლში მონაწილე 23 მსჯავრდებულს რეპეტიციების პროცესში შესაძლებლობა ჰქონდათ შეესწავლათ სასცენო ხელოვნება და მეტყველება. რეჟისორმა მსჯავრდებულებთან რამდენიმე კვირა იმუშავა და პირველი თეატრალური წარმოდგენა

სტუმრებს შესთავაზა. მნიშვნელოვანია, რომ სასცენო დეკორაციები და რეკვიზიტებიც თავად მსჯავრდებულებმა დაწესებულებაში შექმნეს.

ღონისძიებას იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილე, თამარ ტყეშელაშვილი, სპეციალური პენიტენციური სამსახურის ხელმძღვანელობა, მსახიობები და სასულიერო პირები დაესწრნენ.

იუსტიციის სამინისტროს გრანტის ფარგლებში, გამარჯვებული რეჟისორი მომავალი 6 თვის განმავლობაში მსჯავრდებულების მონაწილეობით რამდენიმე სპექტაკლის დადგმას გეგმავს.

2023 წელს საქართველო ITB BERLIN-ის საერთაშორისო გამოფენაზე მასპინძელი ქვეყანა იქნება

ამის შესახებ ინფორმაციას ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია ავრცელებს. მათივე ინფორმაციით, მადრიდში მიმდინარე საერთაშორისო ტურისტული გამოფენის ფარგლებში საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი მედეა ჯანიაშვილი ბერლინის საერთაშორისო ტურისტული გამოფენის დირექტორს და წარმომადგენლებს შეხვდა.

შეხვედრაზე ITB Berlin-ის გამოფენაზე ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მონაწილეობასთან დაკავშირებით ტექნიკური საკითხები განიხილეს. წელს საქართველო ბერლინის გამოფენის პარტნიორია კულტურული მიმართულებით, ხოლო 2023 წელს გერმანიაში, ბერლინში ITB Berlin-ის გამოფენაზე საქართველო მასპინძელი ქვეყნის სტატუსით წარდგება.

„დღეს ჩვენ განვიხილეთ ITB Berlin-სა და საქართველოს შორის პარტნიორობის საკითხი როგორც 2022 წელს მარტში დაგეგმილი გამოფენის შესახებ, ასევე 2023 წლის გეგმები. ძალიან ვამაყობთ, რომ საქართველო ბერლინის გამოფენის მასპინძელი ქვეყანა იქნება 2023 წელს და კულტურის მიმართულებით პარტნიორი 2022 წელს. საქართველოს ტურისტული მიმართულებით უამრავი საიდუმლოება აქვს, რომელიც ჯერ კიდევ აღმოსაჩენია საერთაშორისო მასშტაბით. ITB Berlin-ზე 10 ათასი კომპანიაა წარმოდგენილი და მთელ მსოფლიოში 17 მილიონ ტურისტულ პროფესიონალს აქვს წვდომა. ჩვენ ვამაყობთ, რომ საქართველოს ვეხმარებით ტურისტული პროდუქტების პოპულარიზაციაში“, – აცხადებს დევიდ რუცი, ITB Berlin-ის გამოფენის დირექტორი.

ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია – ესპანეთის საერთაშორისო ტურისტულ გამოფენაზე

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია ესპანეთში, ქალაქ მადრიდში საერთაშორისო ტურისტულ გამოფენა-ბაზრობაში (FITUR) მონაწილეობს.

ქვეყნის ცნობადობის გაზრდისა და ტურისტული ნაკადების მოზიდვის მიზნით, გამოფენის ფარგლებში ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია პრეზენტაციებსა და შეხვედრებს მართავს. წლევანდელ გამოფენაზე საქართველოს ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციასთან ერთად საპრეზენტაციო სტენდზე წარდგენილია 15-მდე ქართული კომპანია, თბილისის მერია, აჭარის ტურიზმის დეპარტამენტი და DMO იმერეთი. FITUR ევროპაში ერთ-ერთი უდიდესი ტურისტული გამოფენა-ბაზრობაა, სადაც ყოველწლიურად მსოფლიოს ასზე მეტი ქვეყნის ათი ათასზე მეტი კომპანიაა იღებს მონაწილეობას. საერთაშორისო გამოფენა 23 იანვარს დასრულდება.

აშშ-ის სახელმწიფო მდივანი აზუსტებს, რა იქნება უკრაინაში რუსეთის შეჭრის ფასი...

სამი ძირითადი ნაბიჯი

თუ რუსეთი **უკრაინაში კვლავ შეიჭრება, „ნატოს მოუწევს, აღმოსავლეთ ფლანგზე გაძლიერდეს“,** — ამის შესახებ, შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა „ამერიკის ხმასთან“ ექსკლუზიურ ინტერვიუში განაცხადა. შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი, ენტონი ბლინკენი იმ სამ ძირითად ნაბიჯზე საუბრობს, რომლებსაც შეერთებული შტატები და მისი მოკავშირეები იმ შემთხვევაში გადადგამენ, თუ რუსეთი უკრაინაში კვლავ შეიჭრება. სახელმწიფო მდივანი აცხადებს, რომ შეერთებული შტატები დასავლელ მოკავშირეებთან მჭიდრო კოორდინაციით, ინტენსიურად მუშაობს მოცულობითი სანქციების შესახებ. გარდა ამისა, ამერიკის პირველი დიპლომატი ამბობს, რომ რუსეთის მიერ უკრაინაში კვლავ შეჭრის შემთხვევაში, ნატოს მოუწევს აღმოსავლეთ ფლანგზე საკუთარი დაცვა გააძლიეროს.

„პირველი, ჩვენ ინტენსიურად ვიმუშავეთ ვრცელი სანქციების შემუშავებაზე ფინანსური, ეკონომიკური, ექსპორტის კონტროლის და სხვა მიმართულებით. დაწვრილებით არ ვისაუბრებ, მაგრამ ჩვენ ამას ვაკეთებთ ჩვენს ევროპელ მოკავშირეებთან და პარტნიორებთან მჭიდრო კოორდინაციით. მეორე შედეგი — შემდგომი დახმარება, სამხედრო დახმარება უკრაინისთვის. და მესამე, თითქმის დარწმუნებით ვამბობ, ნატოს მოუწევს გააძლიეროს საკუთარი თავდაცვა აღმოსავლეთ ფლანგზე“, — აცხადებს ენტონი ბლინკენი.

ენტონი ბლინკენმა, კიდევ ერთხელ ისაუბრა გზებზე, რომელიც ვაშინგტონმა რუსეთს მიმდინარე კრიზისის განსამუხტად შესთავაზა: **„ჩვენ რუსეთ შევთავაზეთ მკაფიო არჩევანი. ერთის მხრივ, არჩევანი დიპლომატიისა და დიალოგის, ან კონფრონტაციისა და შედეგების. სულ ცოტა ხნის წინ, ჩვენ გვქონდა რუსეთთან დიპლომატიური ჩართულობის ინტენსიური სერია, უშუალოდ ჩვენს შორის, სტრატეგიული სტაბილურობის დიალოგის საშუალებით ნატოში და ასევე ეუთოში, რუსეთის ფედერაციის საბჭოსთან. და მე კვლავ ვიტოვებ იმედს, რომ რუსეთი ამ დიპლომატიურ გზას გააგრძელებს. მაგრამ, ჩვენ ასევე ნათლად განვაცხადეთ, თუ რუსეთი გადაწყვეტს განაახლოს თავისი აგრესია უკრაინის წინააღმდეგ, ჩვენ არ ვართ მხოლოდ „ჩვენ“, მარტო შეერთებული შტატები. ჩვენ ვართ ბევრი ქვეყანა ევროპაში და მის მიღმაც კი, ვინც (რუსეთის აგრესიას) ძალიან ძლიერ და მტკიცე პასუხს გასცემს“,** — აცხადებს ბლინკენი.

სახელმწიფო მდივანი ამბობს, რომ საკუთარი მოქმედებებით, რუსეთმა შეძლო იმის დაჩქარება, რის პრევენციასაც ცდილობს. საუბარია ნატოს გაძლიერებაზე. ბლინკენი ამბობს, რომ ნატოს გაძლიერებისკენ, 2014 წელს, უკრაინაში რუსულმა მოქმედებებმა უბიძგა:

„გასაოცარი ისაა, რომ პრეზიდენტმა პუტინმა შეძლო, დაეჩქარებინა ის, რისი პრევენციაც სურს. რადგან, სხვა საკითხებთან ერთად, მას შემდეგ, რაც რუსეთი 2014 წელს შეიჭრა უკრაინაში და აიღო ყირიმი, დონბასი, ნატოს მოუწია გაეძლიერებინა საკუთარი თავი“.

გასულ კვირაში, ამერიკა-რუსეთს, ასევე ნატო-რუსეთსა და ეუთო-რუსეთს შორის გამართული ინტენსიური მოლაპარაკებების შემდეგ, ვაშინგტონი დიპლომატიურ ძალისხმევას განაგრძობს. სახელმწიფო მდივანი ოფიციალური ვიზიტით კიევში იყო. პარასკევს კი დაგეგმილია შეხვედრა რუს კოლეგასთან, სერგეი ლავროვთან. მხარეებს შორის პირისპირ შეხვედრა ჟენევაში გაიმართება.

გაბრიელიუს ლანდსბერგისი:
რუსეთის მუქარა დღეს უკრაინისკენაა მიმართული, მიზანი კი მოიცავს საქართველოსაც

ლიეტუვის საგარეო საქმეთა მინისტრის გაბრიელიუს ლანდსბერგისის განცხადებით, მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის მუქარა ამ დროისთვის მხოლოდ უკრაინისკენ არის მიმართული, რუსეთის მიზანი მოიცავს საქართველოსაც. როგორც დიპლომატმა თავის ქართველ კოლეგასთან შეხვედრის შემდეგ, პრესკონფერენციაზე აღნიშნა, დაუშვებელია, რუსეთს მიეცეს საშუალება, შეცვალოს ქვეყნების ევროპული არჩევანი.

„რუსეთის მიზანი რეგიონში სტრატეგიული ცვლილებაა და წარმოდგენილი მოთხოვნები ეხება როგორც საქართველოს, ასევე უკრაინის და მოლდოვის მიერ გაკეთებულ არჩევანს, რომელიც არის ტრანსატლანტიკური, რომელიც არის ევროპული და ზუსტად ამის შეცვლას ცდილობს რუსეთი. მიუხედავად იმისა, რომ დღეს მუქარა კონკრეტულად უკრაინისკენ არის მიმართული, ცხადია, რომ რუსეთის მიზანი მოიცავს საქართველოსაც და მათ სურთ, რომ სწორედ ამ სახელმწიფოების ხალხების მიერ მანამდე გაკეთებულმა არჩევანმა დაკარგოს ვალიდურობა. ჩვენ არ შეგვიძლია ამის დაშვება, არ შეგვიძლია დავუშვათ, რომ ასე მოხდეს“, — თქვა გაბრიელიუს ლადსბერგისმა.

ზალკალიანმა და ლინდსბერგისმა შეხვედრაზე ხაზი გაუსვეს ერთიან პოზიციას, რომ არ გადაიხედება ალიანსის გადაწყვეტილებები, ისეთ საკითხებთან მიმართებაში, როგორიც არის ქვეყნების სუვერენული არჩევანი შეუერთდნენ NATO-ს. გარდა ამისა, მათ ისაუბრეს საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში შექმნილ მდგომარეობასა და სამხრეთ კავკასიაში არსებულ ვითარებაზე.

თუ რუსეთთან გსურს დიალოგი, სტრატეგიულად უნდა გადაიარაღდე

ევროპამ **საბოლოოდ უნდა შექმნას კოლექტიური უსაფრთხოების წესრიგი — ჩვენი კონტინენტის უსაფრთხოება ევროპის სტრატეგიულ გადაიარაღებას მოითხოვს, კერძოდ რუსეთთან დიალოგში,** — განაცხადა საფრანგეთის პრეზიდენტმა, ემანუელ მაკრონმა ევროპარლამენტში სიტყვით გამოსვლისას.

„რამდენიმე წელია, რაც ამ დიალოგს ვიცავ. ჩვენ გვჭირდება ეს დიალოგი. ჩვენ, ევროპელებმა, ერთობლივად უნდა დავაყენოთ ჩვენი მოთხოვნები და მოვახერხოთ მათი განხორციელება. გულწრფელი და მომთხოვნი დიალოგი დესტაბილიზაციის, ჩარევისა და მანიპულაციის ფონზე“, — აღნიშნა ემანუელ მაკრონმა. საფრანგეთის პრეზიდენტმა ასევე ისაუბრა იმაზე, თუ როგორი უნდა იყოს ევროპული წესრიგი.

„ის, რაც ჩვენ უნდა შევქმნათ, ევროპული წესრიგია, რომელიც იმ პრინციპებსა და წესებს ეფუძნება, რომელსაც ჩვენ ვეთანხმებით. ეს არის უარის თქმა ძალის გამოყენებაზე, მუქარაზე, იძულებაზე; სახელმწიფოთა თავისუფალი არჩევანი, მონაწილეობა მიიღონ ორგანიზაციებში, ალიანსებში, უსაფრთხოების შეთანხმებებში, როგორც მათ სურთ; საზღვრებისა და სახელმწიფოთა ტერიტორიული მთლიანობის ხელშეუხებლობა, გავლენის სფეროების უარყოფა. რაზეც მე ვსაუბრობ არის პრინციპები, რომელსაც ჩვენ, ევროპელებმა, და რუსეთმა ხელი 30 წლის წინ მოვაწერეთ. ჩვენზე, ევროპელებზეა დამოკიდებული, დავიცვათ ეს პრინციპები და ეს უფლებები, რომელიც თან ახლავს სახელმწიფოთა სუვერენიტეტს. ჩვენზეა დამოკიდებული, კიდევ ერთხელ დავამტკიცოთ მისი ღირებულება და ეფექტურად დავაწესოთ სანქციები მისი დარღვევისთვის. სუვერენიტეტი თავისუფლებაა. ეს ჩვენი ევროპული პროექტის ქვაკუთხედია. ეს ასევე პასუხია ჩვენს კონტინენტზე არსებულ დესტაბილიზაციაზე. ამიტომ ჩვენ გავაგრძელებთ გერმანიასთან ერთად ნორმანდიული ფორმატის ფარგლებში უკრაინაში არსებული კონფლიქტის პოლიტიკური გადაწყვეტის ძიებას“, — განაცხადა საფრანგეთის პრეზიდენტმა.



უკრაინის ნატოში შესვლას ბაიდენი ეწინააღმდეგება

უახლოეს მომავალში, უკრაინის ნატოში გაწევრიების ალბათობას ვერ ხედავს აშშ-ის პრეზიდენტი. ეს განცხადება ჯო ბაიდენმა პრეზიდენტობის ერთი წლის თავზე გამართულ პრესკონფერენციაზე გააკეთა:

„ორ რამეზე სურს პუტინს გარანტიები, ის, რომ უკრაინა არასოდეს იქნება ნატოს წევრი და ალიანსს არ ექნება სტრატეგიული სამხედრო პუნქტი უკრაინაში. მეორეზე მუშაობა დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ იმოქმედებს რუსეთი საზღვარზე. რაც შეეხება პირველს, ჩვენ გვაქვს საერთაშორისო ხელშეკრულებნა, რომელიც გვეუბნება, რომ შენ თავად უნდა აირჩიო, ვისთან გსურს ყოფნა. თუმცა ძალიან მცირეა ალბათობა იმისა, რომ უკრაინა ახლო მომავალში გახდება ნატოს წევრი. მათ კიდევ ბევრი აქვთ გასაკეთებელი ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გასაწევრებლად, დემოკრატიისა და სხვა საკითხების კუთხით“, — აღნიშნა ბაიდენმა.

უკრაინის ოფიციალური წარმომადგენელი CNN-თან აცხადებს, რომ ის „შოკირებულია, როცა აშშ-ის პრეზიდენტი განასხვავებს „შეჭრას“ და „მცირე შეჭრას“ . მისივე სიტყვებით **„ეს მწვანე შუქს უნთებს რუსეთს, სიამოვნებით შეიჭრას უკრაინაში“.** ბაიდენის ვარაუდით, რუსეთი უკრაინაში შეიჭრება, მაგრამ „მცირე შეჭრა“ ნაკლებ რეაქციას გამოიწვევს, ვიდრე ეს იქნება სრულმასშტაბიანი შეჭრა. უკრაინის ოფიციალურმა პირმა დასძინა, რომ მას არასოდეს სმენია მსგავსი გზავნილი აშშ-ის ადმინისტრაციიდან. „კიევი გაოგნებულია“ — თქვა მან. აქვე აშშ-ის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ პუტინს ძვირად დაუჯდება უკრაინაში შეჭრა, რის გამოც დაუწესებს ისეთ სანქციებს, როგორიც არასოდეს ყოფილა.

ზელენსკი უკრაინელებს მოუწოდებს, პანიკაში არ ჩავარდნენ...

უკრაინის პრეზიდენტის ვოლოდიმირ ზელენსკი თქმით, აგრესორი სახელმწიფო მოსახლეობაში მიზანმიმართულად თესავს პანიკას, რათა წინააღმდეგობა შეასუსტოს და ინვესტორები განდევნოს.

„რაშია სიახლე? ნუთუ ეს რეალობა არ არის უკვე რვა წელია? ნუთუ შემოჭრა 2014 წელს არ დაიწყო? ნუთუ მასშტაბური ომის საფრთხე მხოლოდ ახლა გაჩნდა? ეს საფრთხე დიდი ხანია არსებობს. ახლა აქტიურად ესხმიან თავს არა ჩვენს მიწას, არამედ ჩვენს ნერვებს, რათა მუდმივად განგაშის შეგრძნება გქონდეთ“, — აღნიშნა ვოლოდიმირ ზელენსკიმ. უკრაინის პრეზიდენტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჭიროა სიმშვიდის შენარჩუნება და საკუთარ ძალებსა და არმიაში რწმენა. **„პანიკის გარეშე! თავზარის გარეშე! ვიმედოვნებ, ვირუსების გარეშე. გულწრფელად მჯერა, რომ ომის გარეშე. დიდება უკრაინას!“** — განაცხადა მან.

მოსკოვში ცხედრებს ჩამოასვენებენ — ამას კი მოსახლეობა ვერ აპატიებს პუტინს

ომი **ჩვენი მმართველი რეჟიმისთვის უალტერნატივოა, მათ თავი ჩიხში მოიქციეს, უკან დასახევი გზა არა აქვთ, მაგრამ ვფიქრობ იმუშავებს შემაკავებელი ფაქტორი რუსული საბრძოლო მოქმედებების მიმართ — საზოგადოების დამოკიდებულება: ომი დიდ მსხვერპლთანაა დაკავშირებული, მოსკოვში ცხედრებს ჩამოასვენებენ — ამას კი მოსახლეობა ვერ აპატიებს პუტინს,** — ამის შესახებ რუსმა ექსპერტმა, ლეონიდ გოზმანმა განაცხადა. **„თუ ეს ესმით კრემლში, ომი არ იქნება — რუსეთის მოსახლეობაში ომის იდეა პოპულარული არ არის, საზოგადოებრივი აზრის კონსოლიდაციისთვის კი რუსეთის ხელისუფლებამ რამე უნდა მოიფიქროს“,** — განაცხადა გოზმანმა.

ᲞᲐᲠᲐᲤᲡᲘᲥᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ, ანუ ფსიქიკური მოვლენების მიმართ დიდ გულისყურს ადამიანი ოდითგანვე იჩენდა. ამის მთავარი მიზეზი კი ისაა, რომ მსოფლიოს ყველა კუთხეში დროდადრო ჩნდებოდნენ ერთობ უჩვეულო ცოდნისა და გასაოცარი უნარების მქონე ადამიანები, რომელთაც მომავლის წინასწარმეტყველება-განჭვრეტა, სხვადასხვა სნულებათა შთაგონებით ანდა ხელებით მკურნალობა, შორეულ მხარეებში მომხდარი ამბების ზუსტად აღწერის და მსგავსი სხვა, თვალის ერთი გადავლებით, ზებუნებრივი უნარები ჰქონდათ. ასეთი უცნაური თვისებები, ცხადია, ჩვეულებრივი ადამიანების უსაზღვრო გაოცებას იწვევდა, ვინაიდან თავიანთ ცხოვრებისეულ გამოცდილებაზე დაყრდნობით, მათ საკმაოდ კარგად იცოდნენ საკუთარი შესაძლებლობების მიჯნები.

როცა კი ლაპარაკია რაიმე იდუმალ მოვლენაზე, ვთქვათ, ნათელხილვაზე, ტელეპათიაზე, ლევიტაციაზე, ტელეკინეზზე, ფსიქიკურ მკურნალობასა თუ მანუალურ დიაგნოსტიკაზე, სრულებით ბუნებრივია მათი შესწავლისა და არსში გარკვევის, დროის შესაფერისი ცოდნის დონეზე ახსნის სურვილი. სწორედ ამ კვლევათა საფუძველზე წლების წინ წარმოიშვა პარაფსიქოლოგია – მეცნიერება ადამიანის ფსიქიკის უჩვეულო მოვლენებისა და უნიკალური უნარების შესახებ.

ცოტა ხნის წინათ, ჩვენი გაზეთის ფურცლებზე გამოქვეყნდა საკმაოდ ვრცელი მასალა თავის დროზე ძალიან ცნობილი ექსტრასენსის ვოლფ მესინგის შესახებ – „როცა სხვის აზრებს ვკითხულობ“ (№№159-160, 161-162, 168, 170, 177, 183, 185, 2021 წ.), რომელმაც მკითხველთა ცხოველი ყურადღება გამოიწვია. ამასთან, რამდენადაც ვიცით, ვოლფ მესინგის გარდა, მეტად გასაოცარი უნარები კიდევ ბევრ სხვა ექსტრასენსსაც ჰქონდა, რომელთაგან ზოგიერთს სხვადასხვა სნეულების ზუსტი დიაგნოსტირება და, ძალიან ხშირად, მისგან სრულად განკურნვა თუ არა, ავადმყოფობის განვითარების შეჩერება და პაციენტის მდგომარეობის საგრძნობი შემსუბუქება შეეძლო. ამ უკანასკნელთა შორის განსაკუთრებით შემიძლია აღვნიშნო ჩვენი თანამემამულე ᲯᲣᲜᲐ ᲓᲐᲕᲘᲗᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ვისზეც წინამდებარე პუბლიკაციაში მწერალ ლევ კოლოდნის წიგნის მასალების მიხედვით მოგითხრობთ.

ᲝᲗᲐᲠ ᲤᲣᲠᲐᲑᲔᲚᲘᲫᲔ

ᲯᲣᲜᲐᲡ ᲤᲔᲜᲝᲛᲔᲜᲘ: ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲣᲠᲘ ᲔᲞᲝᲙᲐ

ᲣᲤᲠᲝᲡᲘ თაობის თბილისელებს, დარწმუნებული ვართ, კარგად ახსოვთ ყოფილი ელბაქიძის აღმართის დასაწყისში, იქ, სადაც ახლა რესპუბლიკის მოედანია, იმდროინდელი სასტუმრო „ივერიის“ წინ სამსართულიანი კაფე „მეტრო“, რომელშიც გამორჩეულად ეშხიანი, ბრიალა შავთვალება და ულამაზესი თითებით დამშვენებული ნატიფი ხელის მტევნების მქონე მიმტანი ქალი, ჯუნა მუშაობდა. იგი სულ მომღიმარი, თავაზიანი და იქაყუდა კლიენტების მიმართ ზედმიწევნით მეგობრულად განწყობილი ადამიანი გახლდათ, მერე და მერე კი თბილისში ხმა დაირხა – ჯუნას უძლიერესი „ბიოდენები“ აქვს და უმძიმეს ავადმყოფებს სასწაულებრივად კურნავსო. თუმცა ისიცაა, რომ იმ დროს „ბიოდენების“ ბევრს არ სწამდა, ამდენად ჯუნას ექიმბაშობისა მაინცდამაინც არ სჯეროდათ, მაგრამ თანდათანობით გაჩნდა სარწმუნო მოწმობებიც იმისა, რომ ჯუნას მკურნალობამ არაერთ ცნობილ, პატივსაცემ პიროვნებას უშველა. მერე კი ბევრისთვის მოულოდნელად, ცნობილი გახდა, რომ ჯუნა მოსკოვში წაიყვანეს, რათა იმ დროისთვის უკვე გვარიანად ჯანმრთელობაშერყეულ სსრ კავშირის კომპარტიის ცკ-ის გენერალური მდივნის ლეონიდ ბრეჟნევისთვის ემკურნალა... არადა, სინამდვილეში, საქმე მთლად ასე არ იყო.

1980-ᲘᲐᲜᲘ ᲬᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲣᲐ ᲮᲐᲜᲔᲑᲨᲘ ᲧᲝᲤᲘᲚᲘ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲘᲡ ᲠᲐᲓᲘᲝᲢᲔᲥᲜᲘᲙᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲜᲘᲙᲘᲡ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲨᲘ ᲯᲣᲜᲐ ᲓᲐᲕᲘᲗᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ „ᲤᲡᲘᲥᲝ-ᲔᲜᲔᲠᲒᲔᲢᲘᲙᲣᲚᲘ ᲣᲜᲐᲠᲔᲑᲘᲡ“ ᲨᲔᲡᲬᲐᲕᲚᲐ ᲓᲐᲘᲬᲧᲔᲡ.

ეროვნებით ასირიელ ევგენია (ჯუნა) დავითაშვილს, რუსეთში სახელი ჯერ კიდევ მისი თბილისში ყოფნის დროს გაუთქვეს ცნობილმა პოეტებმა, რომლებმაც მას არაერთი ლექსი უძღვნეს. მათ შორის იყვნენ ალექსანდრე მეჟიროვი, ანდრეი ვოზნესენსკი, რობერტ როჟდესტვენსკი და სხვები. დროთა განმავლობაში მის შესახებ უამრავი მასალა გამოქვეყნდა, თუმცა ბევრი რამ, სამწუხაროდ, სხვა არაფერია, თუ არა სენსაციისთვის თითიდან გამოწოვილი ამბავი. წინამდებარე მასალაში ჯუნა დავითაშვილის მოსკოვში მოღვაწეობის მხოლოდ ერთ მონაკვეთს შევეხებით, როცა მოსკოვის ერთ-ერთ აკადემიურ ინსტიტუტში პირველი ლაბორატორია გაჩნდა, რომელმაც „ბიოლოგიური ობიექტების ფიზიკურ ველებით შესწავლა“ დაიწყო.

* * *

ᲐᲛᲠᲘᲒᲐᲓ, 1980-ᲘᲐᲜᲘ ᲬᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲣᲐ ᲮᲐᲜᲔᲑᲨᲘ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲘᲡ ᲠᲐᲓᲘᲝᲢᲔᲥᲜᲘᲙᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲜᲘᲙᲘᲡ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲨᲘ ᲯᲣᲜᲐ ᲓᲐᲕᲘᲗᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ „ᲤᲡᲘᲥᲝᲔᲜᲔᲠᲒᲔᲢᲘᲙᲣᲚᲘ ᲣᲜᲐᲠᲔᲑᲘᲡ“ ᲨᲔᲡᲬᲐᲕᲚᲐ ᲓᲐᲘᲬᲧᲔᲡ. ᲐᲛᲘᲡ ᲣᲛᲗᲐᲕᲠᲔᲡᲘ ᲛᲘᲖᲔᲖᲘ ᲙᲘ ᲘᲡᲐᲐ, ᲠᲝᲛ ᲯᲣᲜᲐᲡ ᲡᲜᲔᲣᲚ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲗᲐ ᲒᲐᲜᲙᲣᲠᲜᲕᲐ ᲨᲔᲔᲫᲚᲝ ᲓᲐ ᲐᲛᲐᲡ ᲛᲘᲡᲘ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲣᲤᲝᲠᲘᲒᲔᲑᲔᲚᲘ ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒᲔᲜᲘᲪ ᲐᲦᲘᲐᲠᲔᲑᲓᲜᲔᲜ.

იმხანად ოფიციალური, ასე ვთქვათ, აკადემიური მეცნიერების თვალსაჩინო წარმომადგენელი, ვინც „ჯუნას ეფექტი“ მეტნაკლებად აღიარა, აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ფილოსოფოსი ა. სპირკინი იყო, რომლის საზოგადოებრივ ლაბორატორიაში სხვადასხვა, მათ შორის განკურნვის ფენომენს იკვლევდნენ. მანამდე კი, ე.წ. „ექსტრასენსებს“ მისტიკოსებთან, მაოცრებთან (მეფოკუსეებთან), გაიძვერებთან აიგივებდნენ და, მაშასადამე, კანონს მიღმა აყენებდნენ.

აკადემიკოს ს. სპირკინის ამ პოზიციამ კოლეგების რისხვა და კრიტიკის ქარცეცხლი გამოიწვია. ოფიციალური აზრი კი აკადემიის პრეზიდენტმა ა. ალექსანდროვმა გაახმოვანა: **„აკადემიის წევრებისთვის დაუშვებელია ცრუმეცნიერული მიმართულებების მხარდაჭერა“.**

ამრიგად, ამ უჩვეულო ფენომენის კვლევების გაგრძელებას, რომელიც მაშინ ჯერ კიდევ „არარსებულად“ შერაცხილი ბიოველის არსებობას ეფუძნებოდა, ვინაიდან მისი არსებობა ვერც ერთი ხელსაწყოთი ვერ დასტურდებოდა, არა მხოლოდ მეცნიერული ალღო, არამედ მოქალაქეობრივი გამბედაობაც სჭირდებოდა. აი, მაგალითად, რას წერდა ამის შესახებ აკადემიკოსი ბ. რაუშენბახი: **„ამტკიცებენ ბიოველი არ არსებობსო. როგორ თუ არა? ჩემი სხეულის ტემპერატურა 36,6 გრადუსია, ოთახში კი – 20 გრადუსი. მაშასადამე, ჩემ გარშემო წარმოიქმნება ბიოლოგიური წარმომავლობის სითბური ველი... მისი თვისებები ჩვენთვის ჯერჯერობით უცნობია, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს უნდა იყოს სითბური, ელექტრული და ა.შ. ველების მოდულირებული ვარიანტი, ანუ ისეთი, რომელსაც საკმარისი ოდენობით ბიოლოგიური ინფორმაციის დატევა შეუძლია. ასეთი ველის უარყოფა იგივეა, რაც ლატუნის არსებობის უარყოფა იმის გამო, რომ ის შენადნობია და ამიტომაც მენდელეევის ცხრილში ნახსენები არ არის“.**

კრიტიკოსები აღიარებდნენ, რომ ჯუნა ხალხს კი კურნავდა, ოღონდ მარტო **შთაგონების** ძალით, რადგან ყველა ფიზიკური ველი მეცნიერებისთვის უკვე ცნობილია. ახლა კი სავსებით დადასტურებულია, რომ იგი ყოველგვარი შთაგონების გარეშე კურნავდა.

მას ხელები ავადმყოფის სხეულის სიახლოვეს მიჰქონდა, შემოავლებდა თავს, ხელებს, ტანს, ფეხებს და არკვევდა, თუ რა სტკიოდა, ჰქონდა თუ არა უწინ გადატანილი ოპერაციები, ანდა ჰქონია თუ არა სხვა ჭრილობები, ჩარჩენილი ხომ არ ჰქონდა ტანში ტყვია, ან ნამსხვრევი. მოკლედ, დიაგნოზს უსვამდა და ასევე, შეუხებლად ხელის გადასმით მასაჟს უტარებდა, კურნავდა. ამ დროს პაციენტებს (ოღონდ არა ყველას და არა ყოველთვის) ჩხვლეტის მსგავსი შეგრძნება წარმოეშვებოდათ, თითქოს სუსტი დენის მუხტი ხვდებოდათ, გრძნობდნენ სითბოს ან სიცივეს, თითქოს ნიავს წამოებეროს. თანაც „ჩხვლეტა“ ტალღოვანი ხასიათისა იყო: ავადმყოფები მათი მოძრაობის მიმართულებასაც გრძნობდნენ. თუკი ჯუნა ხელს ჰორიზონტალურ სიბრტყეში ამოძრავებდა, მაშინ ტალღაც ასევე ჰორიზონტულად ვრცელდებოდა, ვთქვათ, მარცხნივ, ხოლო თუკი ხელებს ვერტიკალურად გადააადგილებდა, მაშინ ტალღაც ზევიდან ქვევით, ან საწინააღმდეგო მიმართულებით მიდიოდა. აუცილებლად უნდა ითქვას ისიც, რომ ეს ტალღა ჯუნასგან სამი-ოთხი მეტრით მოშორებითაც კი აღიქმებოდა!

* * *

ᲖᲝᲒᲐᲓᲐᲓ, შეიძლება აღინიშნოს, რომ ბიოდენებით, ანუ ექსტრასენსური მკურნალობის მეთოდი, კაცობრიობისთვის უხსოვარი დროიდანაა ცნობილი და მრავალ წყაროშია აღწერილი. მაგალითად, სახარებაში ხელის დადებით სნეულის განკურნვის არაერთი მაგალითია მოყვანილი. მაგრამ, ჯუნა ყოფილ სსრ კავშირში პირველი ექსტრასენსი გახდა, რომელიც სწავლულ ფიზიკოსთა, ფიზიოლოგთა, მედიკოსთა შესწავლის ობიექტად იქცა, რის შემდეგ აკადემიური ინსტიტუტის შტატში ჩაირიცხა. თუმცა კიდევ ერთხელ უნდა ითქვას, რომ სამედიცინო განათლება მას არ ჰქონია.

ის კურნავდა როგორც არა ექიმი, არამედ, როგორც პროფესიონალი მასაჟისტი. წელანაც აღვნიშნეთ, რომ მას არაჩვეულებრივი ხელის თითები ჰქონდა – გრძელი, მოქნილი, ღონიერი, განსაკუთრებულად პლასტიკური, არაჩვეულებრივად ლამაზი, მოკლედ, ბუნების ჭეშმარიტი საოცრება!

ჯუნა, ფაქტობრივად, ავადმყოფს მასაჟს უკეთებდა, ოღონდ უკონტაქტოს. თუმცა ზოგჯერ ტრადიციულ მასაჟსაც უტარებდა. ჰოდა, ამ მასაჟის დროს, იგი დიაგნოზს სვამდა და, ხშირად, კურნავდა კიდეც, მაგრამ ავადმყოფს არც დანიშნულებას აძლევდა რამეს, არც წამლების, არც ბალახეული ნაყენების მიღებას ურჩევდა. მოკლედ, **იურიდიულად ის არ მკურნალობდა...**

როგორც ჩანს, ისეთი ტალღები, როგორიც ჯუნას ჰქონდა, თითოეულ ჩვენგანსაც აქვს, რისი დამტკიცება სრულიად უბრალოდ შეიძლება: წინ გაწეული ხელები ერთმანეთთან ისე მიიტანეთ, რომ საჩვენებელი თითი საჩვენებელს, შუათითი – შუათითსა და ა.შ. ერთმანეთთან ძალიან ახლოს, ოღონდ შეუხებლად მიიტანოთ. ამ დროს შეიძლება იგრძნოთ, რომ თითებს შორის ტელეფონის ქსელის დენივით სუსტი მუხტი გადის. თუკი ასე განთავსებულ ხელებს შორის ვინმე თავის ხელს მოათავსებს, რამდენიმე წამის შემდეგ ჩხვლეტის, ან სითბოს მსგავს სუსტ მუხტს იგრძნობს...

კინოფილმ „გენიოსის სიჭაბუკის“ გადაღებაზე, რომელშიც ჯუნა მკურნალის როლს ასრულებდა, სტატისტებად კი რეჟისორმა სამარყანდის ხანდაზმულთა სახლის ფუნქციური სნეულების მსხვერპლი ინვალიდები სტატისტებად მიიწვია, გადაღებების დაწყებამდე მათ ეცნობოდა და ხელებით „უსმენდა“.

განმარტების სახით აუცილებელია თქმა, რომ **ფუნქციური ავადმყოფობის** დროს, ადამიანს თითქოს არაფერი აწუხებს, ყველაფერი რიგზეა, მაგრამ, ამის მიუხედავად, ვერ ხედავს, არ ესმის, ვერ დადის ანდა ძალებისგან დაცლილია და სხვა ამგვარი რამ სჭირს. ზოგჯერ ისეც ხდება, რომ ავადმყოფი ისე კვდება, რომ არც თვალი აეხილება, არც ყურთა სმენა უბრუნდება, თუმცა კი, უბრალოდ, ბრმა ან ყრუ ფუნქციურ ავადმყოფად ითვლება.

ჰოდა, ერთ-ერთი გადაღების დროს, ჯუნამ რეჟისორს მიმართა: „ეს მოხუცი ყრუა!“ შემდეგ ხელები გაატარ-გამოატარა და თქვა: „დამაცადეთ, ცოტა ხანში მას სმენა აღუდგება!“ გადაღება შეწყდა, მოედანზე ჩამოწვა უხერხული სიჩუმე, ჯუნა კი თავის ჰაეროვან მასაჟს შეუდგა. ნახევარი საათის ლოდინის შემდეგ ყველას მოთმინების ფიალა აევსო. სიგარეტის მოსაწევად უკან შემობრუნებულ რეჟისორს კი ასეთი სცენა დახვდა: ყველანი გაშეშებულები იდგნენ და უსმენდნენ... ჯუნასა და მოხუცის ლაპარაკს! კაცი მუხლებზე დაეცა და ჯერ ჯუნას მადლიერების სიტყვები უთხრა, მერე კი მხურვალე ლოცვა წარმოთქვა.

ესაა ფუნქციური სიყრუის განკურნვის ერთ-ერთი უთვალსაჩინოესი მაგალითი.

მწერალი ლევ კოლოდნი წერს, რომ მის თვალწინ არა მარტო ეს ყრუ სამარყანდელი მოხუცი განიკურნა. მსგავსი ზოგიერთი შემთხვევის შესახებ შემდეგ პუბლიკაციებში მოგითხრობთ.

(ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ)

ᲞᲝᲔᲢᲔᲑᲗᲐᲜ ᲐᲜᲓᲠᲔᲘ ᲓᲔᲛᲔᲜᲢᲔᲕᲗᲐᲜ, ᲐᲜᲓᲠᲔᲘ ᲕᲝᲖᲜᲔᲡᲔᲜᲡᲙᲘᲡᲗᲐᲜ ᲓᲐ ᲘᲚᲘᲐ ᲠᲔᲖᲜᲘᲙᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ.

საფეხბურთო მოზაიკა

სპორტული **პროდუქციის მწარმოებელი ცნობილი იტალიური კომპანია „მაკრონი“ საქართველოს ნაკრებთან დაწყებულ თანამშრომლობას ოფიციალურ გვერდზე გამოქვეყნებული წერილით გამოეხმაურა.**

„ერთად ახალი წარმატებებისკენ – პერსპექტიული მომავალი იწყება ახალი პარტნიორობით „მაკრონსა“ და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას შორის.

„მაკრონის“ საერთაშორისო პარტნიორი ფეხბურთის ფედერაციების სია კიდევ უფრო გაიზარდა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასთან ხელშეკრულების წყალობით. სპორტული ტანსაცმლის წამყვან საერთაშორისო ბრენდსა და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას შორის ტექნიკური პარტნიორობის ხელშეკრულება ითვალისწინებს ეროვნული ნაკრების, ფუტსალის ნაკრების, ახალგაზრდული გუნდებისა და ქალთა ნაკრების ეკიპირების მიწოდებას. კონტრაქტი მომდევნო ექვსი წლის განმავლობაში იმოქმედებს.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია დაარსდა 1990 წლის 15 თებერვალს და უეფა-სა და ფიფა-ს წევრი 1992 წელს გახდა. კაცთა ნაკრებმა 2021 წელი დაასრულა პოზიტიური და დამაიმედებელი შედეგებით – 2022 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში შვედეთთან 2:0 გაიმარჯვა.

„მაკრონის“ ახალ პარტნიორს ეროვნული ნაკრების მაისურით სადებიუტო გამოსვლა იანვრის ბოლოს ნიდერლანდებში დაგეგმილ უეფა-ს ფუტსალის ჩემპიონატზე ექნება. ეს ასევე მნიშვნელოვანი დებიუტი იქნება საქართველოს ფუტსალის ნაკრებისთვის, რომელიც ტურნირის ფინალურ ეტაპზე პირველად გავიდა.

ფედერაციამ „მაკრონის“ სახით იდეალური პარტნიორ იპოვა: ვნება, გუნდური სულისკვეთება არის მხოლოდ რამდენიმე ღირებულება უამრავიდან, რომლებსაც იზიარებს იტალიური ბრენდი. „მაკრონი“ ქართულ ფედერაციას მიაწვდის მაღალი ხარისხის პროდუქტს. საქართველოს ნაკრების ექსკლუზიური ფორმა ხაზს გაუსვამს მის ისტორიას, სიმბოლოებსა და ფერებს“.

* * *

პრემიერლიგის მე-17 ტურის გადატანილ მატჩში, „მანჩესტერ იუნაიტედმა“ სტუმრად „ბრენტფორდი“ 3:1 დაამარცხა. როგორც პორტალი OptaJoe გვამცნობს ტვიტერში, მანკუნიანელები პირველები გახდნენ პრემიერლიგაში, რომლებმაც 300 გასვლითი მატჩის მოგება შეძლეს.

შემდეგ მოდიან „ჩელსი“ (259), „არსენალი“ (246), „ლივერპული“ (239) და „მანჩესტერ სიტი“ (188).

21 ჩატარებული შეხვედრის შემდეგ 35 ქულით „მანჩესტერი“ ინგლისის ჩემპიონატის ცხრილში მე-7 ადგილზეა.

* * *

იტალიის **თასის მერვედფინალში „ინტერმა“ „ემპოლის“ უმასპინძლა და 3:2 დაამარცხა, თუმცა, სტუმრებმა კინაღამ სენსაცია მოახდინეს და ქვეყნის ჩემპიონი ტურნირიდან გამოთიშეს.**

უკვე დამატებული წუთები მიმდინარეობდა და „ემპოლი“ 1:2 იგებდა, როცა ანდრეა რანოკიამ ანგარიში გაათანაბრა და შეხვედრა დამატებით დროში გადავიდა, ხოლო სტეფანო სენსიმ გამარჯვების გოლი 104-ე წუთზე გაიტანა.

მეოთხედფინალში „ინტერი“ „რომასა“ და „ლეჩეს“ შორის გამარჯვებულს შეხვდება, რომლებიც ერთმანეთს დღეს დაუპირისპირდებიან.

* * *

არგენტინის **ეროვნული ნაკრებისა და „პარი სენ-ჟერმენის“ შემტევმა ლიონელ მესიმ გუნდთან ერთად ვარჯიში განაახლა. აღნიშნული ინფორმაცია პარიზული გრანდის ოფიციალურმა ვებ-გვერდმა გაავრცელა.**

მესის იანვრის დასაწყისში კორონავირუსი დაუდასტურდა და ამის გამო სამი მატჩი გამოტოვა, 19 იანვრამდე კი სამხრეთამერიკელი ფეხბურთელი ინდივიდუალური პროგრამით ვარჯიშობდა. მიმდინარე სეზონში მესიმ ყველა ტურნირში 16 მატჩი ჩაატარა, რომლებშიც ექვსი ბურთი გაიტანა და ხუთი საგოლე გადაცემა შეასრულა.

◎ ლეგიონერი

გოგა ბითაძეს დრო ისევ შეუზღუდეს



NBA-ში „ინდიანამ“ ოთხმატჩიანი წაგებების სერია შეწყვიტა და ლოს ანჯელეს „ლეიკერსი“ სტუმრად 111:104 დაამარცხა. „პეისერზმა“ პირველი პერიოდი 9 ქულით წააგო, მაგრამ შემდეგ თამაში გააუმჯობესა, დარჩენილ სამივე პერიოდში აჯობა მეტოქეს და გამარჯვებაც დამსახურებულად მოიპოვა.

„კლიპერსთან“ წინა მატჩისგან განსხვავებით, რომელშიც **გოგა ბითაძემ** 25 წუთში 17 ქულა მიითვალა, ამჯერად ქართველ ცენტრს სათამაშოდ მხოლოდ 3 წუთი დაუთმეს. ხსენებულ მწირ დროში მან 3 ქულა, 1 მოხსნა და 2 დაფარება დააგროვა. გოგამ 1-დან 1 ორქულიანი და 2-დან 1 საჯარიმო ჩააგდო.

„ინდიანაში“ საუკეთესო კრის ლევერტი იყო 30 ქულით და 8 მოხსნით, ხოლო „ლეიკერსში“ ლებრონ ჯეიმსმა ორმაგი დუბლი შეასრულა - 30 ქულა, 12 მოხსნა, 5 პასი.

„ინდიანა პეისერზს“ 16 მოგებითა და 29 წაგებით აღმოსავლეთ კონფერენციაში მე-13 ადგილი უკავია, მომდევნო შეხვედრას კი დღეს სტუმრად „გოლდენ სტეიტ უორიორზთან“ გამართავს.

◎ კორტზე

ნადალი კმაყოფილია

რაფაელ ნადალმა ავსტრალიის ღია პირველობის მეორე წრეში, გერმანელ იანიკ ჰანფმანს 6-2, 6-3, 6-4 მოუგო, შეხვედრის შემდეგ კი განაცხადა, რომ წარმატების გარდა, იმითაც არის კმაყოფილი, რომ თამაშის ხარისხს თანდათან აუმჯობესებს.

ნადალი მიმდინარე ტურნირზე მისი ერთადერთი ყოფილი ჩემპიონია, გამარჯვებით ის დიდი სლემის 21-ე ტიტულს მოიპოვებს და ამ მაჩვენებლით რეკორდსმენი გახდება. გარდა ამისა, ნოვაკ ჯოკოვიჩის შემდეგ გახდება მეორე ჩოგბურთელი, ვისაც პროფესიონალურ ეპოქაში (1968 წლიდან) დიდი სლემის ყველა ტურნირი ორ-ორჯერ ექნება მოგებული.

თავად ესპანელი ჩოგბურთელი დაჟინებით იმეორებს, რომ მიმდინარე ტურნირზე მისთვის მთავარი ტრავმის არმიღებაა. მას გასულ სეზონში ტერფის ტრავმის გამო რამდენიმე თვე გაუცდა, წინა თვეში კი კოვიდ-19-ით დაავადდა.

„ტურნირის დაწყებამდე ვთქვი, რომ ყველაფერი კარგად არ არის. მაგრამ აქ თამაშისას ვგრძნობ, რომ ჩემი თამაშის ხარისხი სულ უფრო უმჯობესდება. ამჟამად კმაყოფილი ვარ იმით, რომ იმ ყველაფრის შემდეგ, რაც გამოვიარე, მესამე წრეში კიდევ ერთხელ ვითამაშებ“, – განაცხადა ნადალმა, ვისაც ავსტრალიის ღია 2009 წელს აქვს მოგებული.

◎ პეკინი – 2022

უკვე მეშვიდედ!

ტრამპლინიდან ხტომაში ოთხგზის ოლიმპიური ჩემპიონი სიმონ ამანი პეკინის ზამთრის ოლიმპიადაზეც იასპარეზებს. და ეს მისთვის მეშვიდე ოლიმპიადა იქნება.

40 წლის ამანი ერთადერთი მხტომელია, ვისაც ორ ოლიმპიადაზე ოქროს დუბლი აქვს შესრულებული. დუბლი მცირე და დიდი მთიდან ხტომაში ოქროს მოპოვებას ნიშნავს და შვეიცარიელმა ამას 2002 და 2010 წლებში მიაღწია.

გარდა ამისა, ამანი გახდება პირველი შვეიცარიელი ათლეტი, ვინც მეშვიდე ოლიმპიადაზე იასპარეზებს. ამ მხრივ რეკორდსმენია იაპონელი ტრამპლინიდან მხტომელი ნორიაკი კასაი, ვინც რვა ოლიმპიადაზე გამოვიდა. ფინელ იანე აჰონენს შვიდ ოლიმპიადაში აქვს მონაწილეობა მიღებული.

„სიმონ ამანი შვეიცარიული სპორტის გამორჩეული ფენომენია და მოხარულნი ვართ, რომ ის შვეიცარიის ოლიმპიურ გუნდში კვლავ იქნება და მეშვიდე ოლიმპიადაზე გამოვა“, – ნათქვამია შვეიცარიის ოლიმპიური გუნდის მისიის შეფ რალფ სტოკლის განცხადებაში.

ბარის თხილამურობაში ოთხი ოლიმპიური ოქროს მფლობელი დარიო კოლონია მეოთხე ოლიმპიადაზე გამოვა. ასევე მეოთხე თამაშებზე იასპარეზებს სნოუბორდის პარალელურ გიგანტურ სლალომში ოლიმპიური ჩემპიონი პატრიცია კუმერი. 34 წლის კუმერი პეკინში სამი კვირით ადრე გაემგზავრა, რათა არავაქცინირებული სპორტსმენებისთვის განკუთვნილი სამკვირიანი კარანტინის გავლა მოასწროს.

* * *

ამასობაში პეკინი-2022-ის საორგანიზაციო კომიტეტი კორონავირუსის ახალი ომიკრონ-შტამის გავრცელებას აკვირდება და ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე მის შესაძლო ზეგავლენას აფასებს.

„ყურადღებით ვაკვირდებით ომიკრონ-შტამს, ასევე ვაკვირდებით და ვაფასებთ ოლიმპიურ თამაშებზე მის პოტენციურ ზეგავლენას. გვსურს ყურადღება გავამახვილოთ, რომ კოვიდის წინააღმდეგ გადამჭრელ კონტრზომებს მივიღებთ, რათა თამაშების უსაფრთხოება უზრუნველვყოთ და ამავდროულად მოსამზადებელი სამუშაოები ეფექტურად და უმაღლეს დონეზე შევასრულოთ, – აცხადებენ პეკინი-2022-ის საორგანიზაციო კომიტეტში. **გვაქვს რწმენა, შესაძლებლობა და სიმტკიცე, რათა პეკინში ჩავატაროთ უსაფრთხო და ბრწყინვალე ოლიმპიური თამაშები.“**

საორგანიზაციო კომიტეტის ცნობით, საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტთან (IOC) და პარალიმპურ ოლიმპიურ კომიტეტთან (IPC) თანამშრომლობით შემუშავებულია პანდემიასთან ბრძოლის პრინციპები და ზომები, რომლებიც ვირუსის ბოლო კვლევებს, ექსპერტთა აზრს, ასევე საერთაშორისო სპორტულ ღონისძიებათა ჩატარების გამოცდილებას ეფუძნება. საორგანიზაციო კომიტეტი ყურადღების ცენტრში აყენებს სპორტსმენებს და მათ უსაფრთხოებაზე ზრუნავს, რათა თავიანთი ოლიმპიური ოცნებები აიხდინონ.

ვილენ მარდალეიშვილი

დიდი დანაკლისი



ვილენი გამორჩეული იყო ჩვენს დიდ საძმოში სმით, ენით, სტილით, ჟურნალისტური ოსტატობით, ადამიანური ღირსებით. ქართული კულტურის უპირველესი ალამდარი თავისი ინტერვიუებით, რეცენზიებით, ნარკვევებით, სტატიებით, გამოხმაურებებით ღირსეულად წარმოაჩენდა ქვეყნის შემოქმედებით ცხოვრებას. მისი გარდაცვალება დიდი დანაკლისია სრულიად ქართული კულტურისთვის, რომელსაც იგი ნიჭიერად ემსახურა სიცოცხლის ბოლომდე. ნათელში იყავი, ჩემო დიდო ძმაო!

რაულ ჩილაჩავა

ვილენ მარდალეიშვილი იყო გამორჩეული ღირსეული პიროვნება და ჟურნალისტი, ღმერთმა გაანათლოს მისი სული!

ბაღათერ არაბული

მგორგავი ვილიც წასულა. ის იყო კალმოსანი სავსე ჟურნალისტური წესიერებით, ქვეყნის კულტურისადმი მიმართული მისი შემოქმედება — სანიმუშო და სამაგალითო.

ელდარ ნადირაძე

ეჰ! ბატონო ვილენ! როგორ ჩაგვწყვიტეთ გული, ღმერთმა ნათელში ამყოფოს თქვენი სული! თქვენ ჩვენთვის, უმცროსი კოლეგებისთვის, მაგალითი იყავით, როგორც პიროვნება — უაღრესად კეთილშობილი, ყველას გულშემატკივარი და სიტყვის მიმშველებელი...

რუსუდან ლორთქიფანიძე

2022 წლის 22 იანვარს წუთისოფლიდან მარადიული სოფლისკენ მიმავალ უკანასკნელ გზაზე გავაცილებთ კაცს, უღალატო მეგობარს, ღირსებით სავსე ადამიანს, პროფესიონალს, უბადლო მოქართულეს, ჭეშმარიტ ჟურნალისტსა და მწერალს, საქართველოს დამსახურებულ ჟურნალისტს, ღირსების ორდენის კავალერს, სხვადასხვა ლიტერატურული და ჟურნალისტური პრემიების ლაურეატს.

ბატონმა ვილენმა მეგობრებს, კოლეგებს, იმათ, ვის შესახებაც წერდა და ვისთვისაც წერდა, თავი დაგვამახსოვრა როგორც ყოველმხრივ განსწავლულმა კალმოსანმა, თავისი საქმის დიდოსტატმა. დამეთანხმებიან კოლეგები, ვილენ მარდალეიშვილმა თავისი ეპოქა შექმნა ქართულ ჟურნალისტიკაში, ეპოქა, რომელიც, ჩვენდა სამწუხრად, 2022 წლის 19 იანვარს, უფლის ნათლისღების დღეს, დასრულდა.

მომავალში კიდევ უფრო მეტად მოვისაკლისებთ და მოგვენატრება ვილენის ძარღვიანი ქართული სიტყვა, თქმული გაზეთისა თუ წიგნის ფურცლებზე, თქმული სუფრაზე თუ, უბრალოდ, ქუჩაში შეხვედრისას.

მშვიდობით, ჩვენო მეგობარო! მსუბუქი და თბილი ყოფილიყოს შენთვის ქართული მიწა, რომლის ნამდვილი ფასიც იცოდი და რომელზეც ღირსეულად დააბიჯებდი. უკვდავი იყოს სახელი შენი.

ამირან გუთურიშვილი

მამუკა ვაშაკიძე ოჯახით სამძიმარს უცხადებს უსაყვარლეს ადამიანებს — მადონა, მზია, ნესტან, მანანა, ტარიელ, დავით, ამირან და ალექსანდრე ვაშაკიძეებს დედის, უკეთილშობილესი და დაფასებული ადამიანის

ჯულიეტა ჩომახიძე-ვაშაკიძის

გარდაცვალების გამო. ღმერთმა ნათელში ამყოფოს ჩემი დედობილის სული, რომელიც არასოდეს მარჩევდა მის მრავალ შვილს შორის. მისი მზრუნველობა და სიყვარული არასოდეს დამავიწყდება. მშვიდობით, ქალბატონო ჯულიეტა. თქვენ მართლაც უბედნიერესი ადამიანი იყავით, რადგან შვილების, შვილიშვილების, შვილთაშვილებისა და უამრავი თქვენგან პატივნაცემი ადამიანის ცრემლი გაცილებთ.

მსახიობი რუსუდან კიკნაძე ამერიკაში გარდაიცვალა

76 წლის ასაკში მსახიობი **რუსუდან კიკნაძე** გარდაიცვალა. რუსუდან კიკნაძე მოღვაწეობდა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში. გადაღებულია ფილმებში: „გიორგობისთვე“ (1966), „ფერისცვალება“ (ეკა, 1968), „სინათლე ჩვენს ფანჯრებში“ (ტატა, 1969), „თვალი პატიოსანი“ (მედეა, 1976), „მონანიება“ (1984), „ფესვები“ (1987), „დანაშაული მოხდა“(1988) და სხვ. რუსუდან კიკნაძე ბოლო პერიოდში აშშ-ში ცხოვრობდა.

ცნობილი მხატვარი და რეჟისორი ბონდო შოშიტაიშვილი გარდაიცვალა



ბონდო შოშიტაიშვილმა დაამთავრა თბილისის მოსე თოიძის სახელობის სამხატვრო სასწავლებელი მხატვარ-დეკორატორის სპეციალობით. 1961-1976წწ. მუშაობდა კინოსტუდია „ქართული ფილმის“ მულტგაერთიანებაში მხატვრად, მხატვარ-ანიმატორად და რეჟისორად; 1976 წლიდან ანიმაციური ფილმების სტუდია „ორბის“ რეჟისორი; 1996 წლიდან — ამავე სტუდიის დირექტორი. დამდგმელი რეჟისორია ფილმების: „ქვასანაყი“ (ანიმაციური, 1976), „კაცუნები“ (ანიმაციური, 1978), „ფაკირი“(ანიმაციური, 1979), „პროფილი და ანფასი“ (ანიმაციური, 1988), „ალიყური“ (ანიმაციური, 1989), „განხეთქილების ვაშლი“ (ანიმაციური, 2003) და სხვ.; სცენარის ავტორია ფილმების: „კაცუნები“(ანიმაციური, 1978), „ფაკირი“(ანიმაციური, 1979), „პროფილი და ანფასი“(ანიმაციური, 1988), „ალიყური“(ანიმაციური, 1989), „განხეთქილების ვაშლი“ (ანიმაციური, 2003) და სხვ.; ანიმატორია ფილმების: „გმირი“ (ანიმაციური, 1963), „ბომბორა“ (ანიმაციური, 1968), „ქვასანაყი“ (ანიმაციური, 1976) და სხვ.

2016 წელს საქართველოს პირველი არხის გადაცემა „ეპოქის ფრაგმენტებმა“ ბონდო შოშიტაიშვილზე ფილმი გადაიღო.

მარსზე, მზის სისტემის უდიდეს კანიონში, წყალი აღმოაჩინეს!

კანიონების ვრცელი სისტემა, რომელიც დრამატულად ცვლის მარსის იერს, შესაძლოა, წყალს მალავდეს.

მარინერის ხეობა 4000 კილომეტრის სიგრძის კანიონებს აერთიანებს და მარსის დიდ კანიონსაც უწოდებენ; მის შუაგულში ახლახან უჩვეულოდ დიდი რაოდენობით წყალბადი აღმოაჩინეს. ამაზე მეტყველებს ევროპის კოსმოსური სააგენტოსა და რუსეთის ერთობლივი ორბიტერის (ორბიტაზე მოძრავი ხომალდი), ExoMars-ის მონაცემები. აღმოჩენა მიუთითებს, რომ ზედაპირიდან დაახლოებით ერთი მეტრის სიღრმეში, ამ რეგიონში მიწა წყლით მდიდარია, როგორც მინერალებში ჩაჭედილი, ისე ზედაპირქვეშა წყლის ყინულის სახით.



„ორბიტერის ერთ-ერთი ინსტრუმენტი მტვრიანი შრის ქვეშ, ერთი მეტრის სიღრმეზე ჩახედვისა და იქ არსებული გარემოს ხილვის საშუალებას გვაძლევს; შედეგად მივაგენით წყლით მდიდარ „ოაზისებს“, რომელთა აღმოჩენაც წინა ინსტრუმენტებით შეუძლებელი იყო“, — ამბობს ახალი კვლევის ავტორი, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის კოსმოსის კვლევის ინსტიტუტის ფიზიკოსი იგორ მიტროფანოვი.

მისი განცხადებით, მარინერის კანიონების უზარმაზარ სისტემაში ინსტრუმენტმა გამოავლინა წყალბადით უჩვეულოდ მდიდარი ზონა, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ეს წყალბადი წყლის მოლეკულებშია შეკრული, ისე ჩანს, რომ ამ რეგიონის ზედაპირქვეშა მასალების თითქმის 40 პროცენტი წყალია.

მარსზე წყლის არსებობის შესახებ უკვე ვიცით. მისი დანახვა შეგვიძლია ცივ პოლუსებთან, ყინულის სახით. წყლის დიდი ნაწილი თითქოს სწორედ იქ უნდა იყოს თავმოყრილი, რადგან ეკვატორთან ზედმეტად თბილა, რათა ზედაპირზე ყინული წარმოიქმნას. შესაძლებელია, რომ წყალი ზედაპირქვეშ იყოს, მაგრამ მარსის ხელოვნური თანამგზავრებით ჩატარებული ყოველი წინა ძებნისას, მას მხოლოდ მაღალ განედებზე მიაგნეს. თუმცა, სულ სხვანაირია ExoMars-ის ინსტრუმენტი, სახელად FREND (Fine Resolution Epithermal Neutron Detector). წითელი პლანეტის ზედაპირზე შუქის ასახვის ნაცვლად, ის ნეიტრონებს ადასტურებს. შედეგად, მარსის ზედაპირქვეშ ერთ მეტრ სიღრმემდე ის წყალბადის შემცველობას ხედავს. ამ მხრივ ნაყოფიერი გამოდგა მის მიერ 2018 წლის მაისიდან 2021 წლის თებერვლამდე პერიოდში ჩატარებული დაკვირვებები.

წყალბადის მაღალი შემცველობის მქონე რეგიონი დაახლოებით ნიდერლანდების ზომისაა და ნაწილობრივ ემთხვევა კანდორის კანიონს — მარინერის სისტემის ერთ-ერთ უდიდეს კანიონს. მარსის ამ რეგიონში მინერალები ძირითადად ძალიან ცოტა წყალს შეიცავს; შესაბამისად, მეცნიერებს სჯერათ, რომ ზედაპირქვეშ სუბსტანცია წყლის ყინულის სახით არის. თუმცა უცნობია, როგორ ძლებს იქ ეს წყალი. აღმოჩენა ასევე ხსნის ამაღელვებელ შესაძლებლობებს მარსის სამომავლო კვლევებისთვის. ნებისმიერი ეკიპაჟიანი მისია დიდი ალბათობით ეკვატორის სიახლოვეს დაეშვება; ზედაპირიდან არც თუ ისე დიდ სიღრმეში არსებული წყალი მათთვის უდიდესი მნიშვნელობის იქნება, როგორც კვლევითი მიზნებისთვის, ისე სასიცოცხლოდ.

ეს აღმოჩენა კიდევ უფრო აძლიერებს მზის სისტემაში უდიდესი კანიონის, მარინერის ხეობის მონახულების სურვილს. **„იმის ცოდნა, სად და როგორ არსებობს დღევანდელ მარსზე წყალი, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია იმის გასაგებად, რა მოხდა შორეულ წარსულში, ერთ დროს წყლით მდიდარ მარსზე; დაგვეხმარება სასიცოცხლოდ გამოსადეგი პლანეტების პოვნაში, წარსულის შესაძლო სიცოცხლის კვალისა და ადრეული მარსის ორგანული მასალების ძებნაში“,** — ამბობს ევროპის კოსმოსური სააგენტოს ფიზიკოსი კოლინ უილსონი.

მიხეილ ჭაბუკაშვილი

განცხადება

სს „სავანე ღვინის ქარხანა №1“ (ს/ნ 203825076) საზოგადოების აქციონერებს იწვევს საერთო კრებაზე. დღის წესრიგი: სამეთვალყურეო საბჭოს და მენეჯმენტის ცვლილება. კრება ჩატარდება 2022 წლის 2 თებერვალს, 12 საათზე, მისამართი: ქ. თბილისი, მთაწმინდის რაიონი, ი. გოგებაშვილის ქუჩა №46ბ, სართული 1, სადარბაზო 2.

პატივისცემით,

შპს „ეი ჯი ლეგალ ქონსალთინგის“ადმინისტრაცია

ი. ჟორდანიას და ა. ხომასურიძის რეპროდუქტოლოგიის ინსტიტუტი აგრძელებს მუშაობას მისამართზე- თევდორე მღვდლის,13 ა,VII სართული. ტელ.224 00 99; 224 00 98.

მალე გაიხსნება ქირურგიული და ინ ვიტრო განყოფილებები. გისურვებთ ჯანმრთელობას!

ქართველი რეჟისორები ტრიესტეს კინოფესტივალზე

21-30 იანვარს იტალიის ქ. ტრიესტეში გაიმართება „ტრიესტეს საერთაშორისო კინოფესტივალი“, რომლის ფარგლებშიც წარმოდგენილი იქნება ქართველ რეჟისორთა ფილმები.

ყოველწლიურად კინოფესტივალის სექცია „Wild Roses: Registe in Europa“ საზოგადოებას სთავაზობს ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებიდან ქალი კინორეჟისორების ნამუშევრებს. აღსანიშნავია, რომ წელს სექცია საქართველოს და ქართველ ქალ რეჟისორებს ეძღვნება. რეტროსპექტივის ფარგლებში ნაჩვენები იქნება ბოლო 10 წლის განმავლობაში გადაღებული 9 ქართული მხატვრული და დოკუმენტური ფილმი. რეტროსპექტივა შემდეგი პროგრამით გაიმართება:

1. **„ანას ცხოვრება“ (რეჟისორი ნინო ბასილია);**
2. **„დიდება დედოფალს“ (რეჟისორი თათია სხირტლაძე);**
3. **„გრძელი ნათელი დღეები“ (რეჟისორები ნანა ექვთიმიშვილი და სიმონ გროსი;**
4. **„კრედიტის ლიმიტი“ (რეჟისორი სალომე ალექსი);**
5. **„მილსადენის მეზობლები“ (რეჟისორი ნინო კირთაძე);**
6. **„როგორი იყო ოთახი“ (რეჟისორი ქეთევან კაპანაძე)**
7. **„სხვისი სახლი“ (რეჟისორი რუსუდან გლურჯიძე);**
8. **„მოთვინიერება“ (რეჟისორი სალომე ჯაში);**
9. **„სველი ძვიშა“ (რეჟისორი ელენე ნავერიანი).**

აღსანიშნავია, რომ ტრიესტეს კინოფესტივალის მოკლემეტრაჟიანი ფილმების საკონკურსო პროგრამაში მონაწილეობს სანდრო სულაძის ფილმი „გუშაგები“. იგი საქართველო-პოლონეთის კოპროდუქციაა და შექმნილია ეროვნული კინოცენტრის მხარდაჭერით.

ქართული პროექტები ასევე წარმოდგენილი იქნება ტრიესტეს კინოფესტივალის ინდუსტრიულ პლატფორმაზე WHEN EAST MEETS WEST: პროდიუსერი **რუსუდან პირველი** მიწვეულია ანიმაციური პროექტის განვითარების ვორქშოპზე The ANIMA SPIRIT /Animation Inspirational Lab პროექტით „14 კრისტალის თეორია“ (რეჟისორი გიორგი მასხარაშვილი). რეჟისორი **ალექსანდრე ქორიძე** მიწვეულია პლატფორმაზე Last Stop Trieste დოკუმენტური ფილმის პროექტით ატონალური გაბრწყინება“.

103 წლის „საქართველოს რესპუბლიკა“ გადასარჩენია!

რეკლამა განათავსეთ, იყიდეთ, გამოიწერეთ, ეს ყოველდღიური საუკუნოვანი გამოცემა!

ხელმოწერისთვის მიმართეთ:

„ელვა.ჯი“, www.elva.ge; ტელ: 23822673; 2 382674; 577991651; 595 382626; „პლანეტა ფორტეს“ – 2 92 18 59; 599 947 311; 579 79 99 08;

მოგვმართეთ რედაქციაში, ვაჟა ფშაველას 48
ტელ: 599 797 679; 599 36 00 35;
ელ: ფოსტა: sakresp@mail.ru. sakresp@top.ge

ვანგას წინასწარმეტყველება

„აღმოსავლეთიდან მოსული უბედურება ისევ გააგრძელებს სიცოცხლის წაღებას... დედამიწა დასვენებას შეძლებს... ადამიანები გამდიდრდებიან“.

გლობალური აღმოჩენა და ეკონომიკური კრიზისის დასასრული – როგორი იყო ვანგას წინასწარმეტყველება, რომელიც ექსპერტების თქმით, კორონავირუსს უკავშირდება და სადაც ვანგას პროგნოზი დამაიმედებელი ჩანს მოსახლეობის ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესების კუთხით.

მისი თქვით, 2022 წელს მსოფლიოს გლობალური, უმნიშვნელოვანესი აღმოჩენა ელის. მაგრამ რომელ სფეროში, ცნობილი არ არის. თავად ვანგა ამ აღმოჩენას **„მზეზე უფრო ძლიერ ენერგიის წყაროდ“** მოიხსენიებს. ბულგარული გამოცემის ექსპერტები კი, დარწმუნებულები არიან, რომ საუბარი თერმობირთვულ კვლევებს ეხება. ვანგა ასევე ამბობდა, რომ 2022 წელს **„დედამიწა დასვენებას შეძლებს“,** რადგან განსაკუთრებული ენერგია „ვენერას მხრიდან მოვა“. ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ეს წინასწარმეტყველება უნდა უკავშირდებოდეს ამ წელს ბუნებრივი კატაკლიზმების ნაკლებობას. რაც შეეხება ვანგას წინასწარმეტყველებას, რომელსაც ექსპერტები კორონავირუსს უკავშირებენ, აქ ბულგარელი ნათელმხილველი ამბობს, რომ 2022 წელს აღმოსავლეთიდან მოსული უბედურება ისევ გააგრძელებს სიცოცხლის წაღებას. მაგრამ, ადამიანები ამას შეეგუებიან. ვანგას საიმედო პროგნოზიც აქვს, კერძოდ, 2022 წელს მსოფლიოში პანდემიით გამოწვეული ეკონომიკური კრიზისი დასრულდება და ბევრი ადამიანი გამდიდრდება.

ინგლისში შეზღუდვები უქმდება

მომავალი კვირიდან, ინგლისში, პრაქტიკულად ყველა შეზღუდვა, რომელიც გასული წლის ბოლოს ომიკრონი შტამის გავრცელების აღსაკვეთად დაწესდა, გაუქმდება. განაცხადა ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა ბორის ჯონსონმა.

შეზღუდვების გაუქმების გადაწყვეტილება მხოლოდ ინგლისს ეხება. დიდი ბრიტანეთის დანარჩენ ნაწილში, ამ საკითხს ადგილობრივი ხელისუფლება განაგებს და არა ლონდონი. ჯონსონის თქმით, „გეგმა ბ“-ს სახელით ცნობილი შემზღუდავი ზომები 26 იანვრის შემდეგ აღარ იმოქმედებს. კერძოდ, დისტანციური მუშაობის მოთხოვნა, კოვიდპასპორტები და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში პირბადის ტარების ვალდებულება უქმდება. პრემიერ-მინისტრმა ჯონსონმა თქვა, რომ პირბადის ტარების ვალდებულება საზოგადოებრივ ტრანსპორტშიც უქმდება. მოგვიანებით ლონდონის მერმა სადიქ ხანმა განაცხადა, რომ მგზავრებმა პირბადის ტარება უნდა განაგრძონ საზოგადოებრივ ტრანსპორტში, ავტობუსებში, მატარებლებსა და ტრამვაიში. ჯონსონის თქმით, თუ რომელიმე კომპანია გადაწყვეტს, რომ მათ ტერიტორიაზე შემსვლელთათვის შეინარჩუნოს კოვიდპასპორტის აუცილებლობა, შეუძლია ასეც მოიქცეს.

საჰარის უდაბნოში თოვლი მოვიდა

ალჟირის ჩრდილო-დასავლეთ რეგიონში ჰაერის ტემპერატურა -2 გრადუსამდე დაეცა. მსოფლიოს ყველაზე ცხელი უდაბნო ახლა ნაწილობრივ თოვლის საფარითაა დაფარული და შთამბეჭდავ სანახაობას ქმნის.

აღსანიშნავია, რომ თოვლის სახით ნალექი საჰარაში 1979 წლის შემდეგ პირველად 2016 წელს იხილეს. მას შემდეგ ატმოსფერული მოვლენა არცთუ ისე იშვიათი ფენომენი გახდა ატლასის მთებით გარშემორტყმული უდაბნოსთვის.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA

ვაჟა ფშაველას №48
ტელ: 239-03-43

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოგულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება სტამბა „კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323

2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ორშაბათს, 24 იანვარს

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 3.0840; ევრო - 3.5130;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 4.1992;
100 რუბლი - 4.0371; თურქული ლირა - 0.2271;
აზერბაიჯანული მანათი - 1.8168;
1000 სომხური დრამი - 6.4082.

ამინდი 21 იანვრისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	-8,	დღე	+6
მთიანი რაიონები -	ღამე	-15,	დღე	+1
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	-4,	დღე	+8
მთიანი რაიონები -	ღამე	-12,	დღე	+4
თბილისი:	ღამე	-5,	დღე	+6

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 296-72-86, 599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge